საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 23 (267) პარასკევი, 5 თებერვალი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

ჩვენ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 3 თებერვალს როგორც მდინარე გუმისთაზე, ასევე ოჩამჩირის რაიონში დღის განმავლობაში ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. მიმდინარეობდა მხოლოდ მცირე მასშტაბის პოზიციური ბრძოლები.

20 საათისათვის ქვემო ეშერაში მოწინააღმდეგემ საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანა არანაკლებ 50 მებრძოლის თანხლებით და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. საპასუხო საარტილერიო ცეცხლით მოწინააღმდეგე იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტა და უკან დაეხია.

ამ ბრძოლის შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში სიმშვიდე თითქმის არ დარღვეულა, ისმოდა მხოლოდ კანტიკუნტი სროლის ხმა. ოჩამჩირის რაიონშიც ასევე სიწყნარე იყო შენარჩუნებული.

იოსებ გოგეჩია.

●

მორიგი პროვოკაცია

4 თებერვალს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც იტყობინება, რომ წინა საღამოს მოხდა მორიგი პროვოკაცია საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ჯარების მიმართ. ავტომატის ცეცხლი დაუშინეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის დაცვის ბატალიონის საყარაულო შენობასა და ყაზარმას.

ამ სიტუაციაში პრესცენტრი სთხოვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფრო მტკიცედ და მიზანსწრაფულად ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი, გააგებინონ მას, რომ რუსეთის ჯარების ყოფნასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ პოლიტიკური გზით.

●

42 მილიონი დაბრუნებულია

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულობებთან მებრძოლი სამმართველოს მუშაკებმა გამოავლინეს სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამტაცებლები, რომლებმაც 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და ამა წლის იანვარში ყალბი ბეჭდისა და ვადაგასული სალიმიტო ჩეკების საშუალებით გარდაბნის ბინსოცბანკიდან გაიტაცეს 80 მილიონამდე მანეთი. დამნაშავეთა ჯგუფმა ამავე მეთოდით სცადა 98,3 მილიონი მანეთის დატაცებაც, მაგრამ სამმართველოს მუშაკებმა ოპერატიულად დააკავეს დამნაშავენი.

დატაცებული თანხიდან 42 მილიონ მანეთზე მეტი უკვე დაბრუნებულია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შემდგომში მაღალ ხელმომწერ მხარეებად წოდებულნი,

ადასტურებენ რა ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისადმი, ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტებისადმი,

დარწმუნებულნი, რომ ორი ხალხის ისტორიის, კულტურის, წეს-ჩვეულებების სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობები შექმნიან საჭირო საფუძვლებს მრავალმხრივი და მჭიდრო თანამშრომლობისათვის,

თვლიან რა, რომ მათ შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება პასუხობს ორივე სახელმწიფოს ხალხების ძირეულ ინტერესებს და ემსახურება მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მაღალი ხელმომწერი მხარეები განავითარებენ თავის ურთიერთობებს, როგორც მეგობარი სახელმწიფოები. ისინი განუხრელად იხელმძღვანელებენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობის ეკონომიკური და სხვა მეთოდების ჩათვლით, ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის, საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

მუხლი 2

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთსარგებლობისა და ურთიერთნდობის საფუძველზე დამყარებულ მრავალმხრივ ურთიერთობების განვითარებას პოლიტიკის, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის დარგებში. ამ მიზნით მხარეები დადებენ ცალკეულ შეთანხმებებს აღნიშნულ და სხვა სფეროებში.

მუხლი 3

მაღალი ხელმომწერი მხარეები მიმართავენ ერთობლივ ძალისხმევას საერთაშორისო მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ უსაფრთხოებისა და ნდობის რეგიონული სისტემის შექმნას.

მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, რეგიონსა და მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 4

ურთიერთობათა შეთანხმებულად წარმართვის მიზნით მაღალი ხელმომწერი მხარეები პერიოდულად ჩაატარებენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე, სულ ცოტა წელიწადში ორჯერ.

მხარეები ამ კონსულტაციების დღის წესრიგს, ადგილსა და ვადებს შეათანხმებენ დიპლომატიური არხების საშუალებით.

მუხლი 5

თითოეულ მაღალ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს სასწრაფო კონსულტაციების ჩატარების თაობაზე ურთიერთუსაფრთხოების საკითხებში. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და შეათანხმებენ შესაძლო ზომებს ურთიერთუსაფრთხოებისათვის საშიში სიტუაციების დაძლევის მიზნით.

მუხლი 6

მაღალი ხელმომწერი მხარეები თავს შეიკავებენ მონაწილეობისაგან ისეთ ქმედებასა ან ღონისძიებაში, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მეორე მხარის წინააღმდეგ, არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორია გამოყენებული იქნეს ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ან სხვა ძალისმიერი ქმედების განხორციელებისათვის. ამ მიზნით მხარეები ყველა ზომას მიმართავენ, რათა აღკვეთონ თავისი ტერიტორიის გამოყენების ცდები დივერსიული ჯგუფებისა და დაქირავებული ფორმირებების შექმნისათვის და მათი შეგზავნისათვის მეორე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 7

მაღალი ხელმომწერი მხარეები მხარს უჭერენ შავი და კასპიის ზღვების რეგიონის ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბების იდეას. ისინი ითანამშრომლებენ საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა ორგანიზაციებში, შეთანხმებებსა და კონვენციებში, აღნიშნული ორგანიზაციების, შეთანხმებებისა და კონვენციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მუხლი 8

მაღალი ხელმომწერი მხარეები წარმართავენ თავიანთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე.

მხარეები ორმხრივი ძალისხმევით გააღრმავებენ და გააფართოვებენ ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას. ამ მიზნით მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას მრეწველობის, ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, სატელიტური კავშირის და ეკონომიკის სხვა დარგებში.

მუხლი 9

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებულ, ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და უზრუნველყოფენ აღნიშნული თანამშრომლობის ხელშეწყობას კაპიტალდაბანდებების, ტექნოლოგიების, საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

მხარეები, მათი მხარდაჭერისათვის აუცილებელი ყველა საშუალებების გამოყენებით, ხელს შეუწყობენ სახელმწიფო და კერძო საწარმოების, აგრეთვე სხვა ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ საწარმოების კოოპერაციას, ინვესტიციებისა და კაპიტალის დარგში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლობას.

მხარეები გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გაუწევენ დახმარებას საბაზრო ეკონომიკის სწავლების, ფორმირებისა და სრულყოფის პროცესში.

მუხლი 10

მაღალი ხელმომწერი მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და გააფორმებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის, აგრეთვე ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მხარეები დროულად შეატყობინებენ ერთმანეთს იმ გადაწყვეტილებების თაობაზე ეკონომიკის დარგში, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეორე მხარის ეკონომიკურ ინტერესებს.

მუხლი 11

მაღალი ხელმომწერი მხარეები უზრუნველყოფენ მგზავრების და ტვირთის დაუბრკოლებელ ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საზღვაო, სამდინარო, საჰაერო პორტებზე, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე და მილსადენებზე.

მუხლი 12

მაღალი ხელმომწერი მხარეები ითანამშრომლებენ ორმხრივი სატრანზიტო-სატრანსპორტო კომუნიკაციების, ტრანსპორტის ყველა დარგის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას ტელეკომუნიკაციური კავშირის, კერძოდ სატელეფონო, სატელექსო კავშირის და ელექტრონული ფოსტის, მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის.

მუხლი 13

მაღალი ხელმომწერი მხარეები შესაბამის პირობებს შექმნიან ორივე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ურთიერთდაბანდებისათვის და დაეხმარებიან ერთმანეთს ტექნოლოგიების გაცვლაში.

მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ერთობლივი საწარმოების შექმნას სასოფლო სამეურნეო, სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების და სხვა დარგებში, აგრეთვე შექმნიან ყველა პირობას ერთობლივი მეწარმეობის განვითარებისათვის.

მუხლი 14

მაღალი ხელმომწერი მხარეები, ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, მყარი ეკოლოგიური უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში. ისინი შექმნიან, ხელს შეუწყობენ და გააფართოვებენ პირობებს გარემოს დაცვის, მათ შორის წყლისა და ჰაერის, ნიადაგისა და ტყის, აგრეთვე მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მხარეები მონაწილეობას მიიღებენ, როგორც რეგიონული ისე გლობალური კოორდინირებული სტრატეგიის შექმნაში გარემოს დაცვის დარგში.

მუხლი 15

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, მედიცინის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმისა და სპორტის დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას, კავშირების და უშუალო კონტაქტების გაფართოებას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს, კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

მხარეები მხარს დაუჭერენ კონტაქტებს ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის და დადებენ ხელშეკრულებას საკონსულო თანამშრომლობის დარგში.

მუხლი 16

მაღალი ხელმომწერი მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რათა შესაძლებლობა მისცენ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს სრულად შეითვისონ მეორე მხარის ენისა და კულტურის ფასეულობები. მხარი დაუჭირონ ერთმანეთის ლიტერატურის გავრცელებას.

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას გააფართოონ მეორე მხარის ენის, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ერთმანეთის უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

მხარეები ითანამშრომლებენ პედაგოგების გაცვლის, მომზადების და პროფესიული სრულყოფის, აგრეთვე სახელმძღვანელოების მიწოდების დარგში.

მუხლი 17

მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე მხარის მოქალაქეების კონტაქტებს და თანამშრომლობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიებს, მეჩეთებს და რელიგიურ გაერთიანებებს, ფონდებს, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

მუხლი 18

თითოეული მაღალი ხელმომწერი მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური უფლებების და ძირითადი თავისუფლებების გარანტიას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაო აღიარებული ნორმების და საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

თითოეული მხარე იცავს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებებს, უწევს მათ მფარველობასა და მხარდაჭერას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად.

მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებებს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო, ოჯახური და სისხლის სამართლის სფეროებში.

მუხლი 19

მაღალი ხელმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა ისევე, როგორც ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქვეყნის მიმართ მოვალეობის შესრულება, არის საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, სრულად და ეფექტურად ისარგებლონ ადამიანთა უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და არ ეცდებიან მათ ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ.

მხარეები უზრუნველყოფენ თავის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას და შექმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის ხელშეწყობისათვის.

მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ეფექტური ზომები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღების სახით, ყველა ისეთი ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, რომლებიც უბიძგებენ ძალადობისაკენ ცალკეული პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური დისკრიმინაციის, მტრობისა და სიძულვილის საფუძველზე.

მხარეები ვალდებულებას იღებენ ეფექტური ზომები მიიღონ ცალკეული პირების ან ჯგუფების სიცოცხლის და ქონების დაცვისათვის, რომლებიც ძალადობის მუქარის ან აქტების, დისკრიმინაციის და მტრობის საშიშროების წინაშე დგანან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ ან რელიგიურ საფუძველზე.

მხარეები დადებენ თანამშრომლობის ხელშეკრულებას იმ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ უმცირესობებს.

მუხლი 20

ერთი მაღალი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე არსებული, მეორე მხარის სახელმწიფო და იურიდიული პირის ან მოქალაქეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საკუთრების ადგილმდებარეობის მხარის კანონმდებლობით, თუ სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული მხარეებს შორის არსებული სპეციალური შეთანხმებით.

თუ ერთ-ერთი მხარე განაცხადებს, რომ მას ეკუთვნის მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებული საკუთრება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი ან სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული საკუთრების დაცვისა და შენახვისათვის სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე და არა აქვს უფლება გადასცეს ვინმეს აღნიშნული საკუთრება, პირველი მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე.

ორივე მხარის საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ექვემდებარება მოწესრიგებას ცალკეული ხელშეკრულებების საფუძველზე.

მუხლი 21

მაღალი ხელმომწერი მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ორგანიზებული და საერთაშორისო დამნაშავეობის, ნარკოტიკების უკანონო გავრცელების, ტერორიზმის, საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ხელყოფის, კულტურული ფასეულობების გატანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხარეები ხელს მოაწერენ ცალკეულ შეთანხმებებს აღნიშნულ და სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

მუხლი 22

ანიჭებენ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას თანამშრომლობას და კავშირების განვითარებას ორი ქვეყნის პარლამენტებსა და პარლამენტარებს შორის, მაღალი ხელმომწერი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას აღნიშნულ სფეროში.

მუხლი 23

თითოეული მხარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე მაღალი ხელმომწერი მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას აღნიშნულ სფეროში შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 24

აღნიშნული ხელშეკრულება არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ არღვევს მხარეთა მიერ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს მესამე ქვეყნების მიმართ.

მუხლი 25

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

მუხლი 26

ეს ხელშეკრულება იდება ხუთი წლის ვადით.

მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი შემდეგი ხუთწლიანი ვადით, თუ ხელშეკრულებაში მონაწილე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს მისი შეწყვეტის სურვილის შესახებ, არა უგვიანეს ექვსი თვით ადრე მომდევნო ხუთწლიანი პერიოდის დამთავრებამდე.

შესრულებულია ქ. ბაქოში 1993 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ე. შევარდნაძე

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით
ა. ელჩიბეი.

ავთანდილ მარგიანი: კრიზისს თავს მალე დავაღწევთ, თუკი...

„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ბატონი ავთანდილ მარგიანი.

— ბატონო ავთანდილ, საქართველოს პარლამენტმა თქვენ აგირჩიათ ქვეყნის ვიცე-პრემიერად. როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობთ აგრობლოკს. ჩვენი მკითხველებისთვის საინტერესოა, რა დარგებს აერთიანებს თქვენი საკურატორო სფერო?

— მასში გაერთიანებულია რესპუბლიკის ყოფილი კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სატყეო და გარემოს დაცვის სამინისტროები, პურ-პროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია, მიწის რესურსის და მიწის კადასტრის, ლტოლვილთა და განსახლების საკითხთა სახელმწიფო კომიტეტები, მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი,- სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სამმართველო, რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის სამთავრობო კომისია.



აქტუალური ინტერვიუ

— თავისთავად ყველა ძალზე მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ სასურსათო უზრუნველყოფა მაინც განსაკუთრებული, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მასზე ალბათ გამორჩეულად ზრუნავთ.

— დიახ, ჩვენი რესპუბლიკის კრიზისიდან გამოყვანის სამწლიანი პროგრამა უკვე მზადა გვაქვს. 1990 წლის ნოემბერში იმ ტოტალურმა ხელისუფლებამ, რომლის წევრი, სამწუხაროდ, მეც გახლდით, მიიღო 400 ათას ტონამდე მარცვლეულის ნაშთი, 1.100 ათასზე მეტი სული ცხვარი და თხა, 600 ათასზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 12,5 მილიონზე მეტი ფრთა ქათამი, 400 ათასამდე ღორი, 50 ათასამდე ავტომანქანა და ტრაქტორი. ეს ყველაფერი, ბატონებო, ერთ წელიწადში განახევრდა და უფრო მეტადაც შემცირდა. აწ უკვე ხალხის უმრავლესობის ნებით დამხობილმა მთავრობამ მემკვიდრეობით დაგვიტოვა დიდძალი ვალები, როგორც ნატურალური, ასევე ფულადი სახით.

ფაქტობრივად საქართველოს აგროკომპლექსი მიწასთან გასწორდა. ძალიან მიძნელდება ამ სიტყვების თქმა, მაგრამ სხვანაირად არ იქნება, საჭიროა ხალხმა სიმართლე გაიგოს და იცოდეს. ამას ემატება ყველასათვის ცნობილი ჩვენი სინდრომი — შინააშლილობა, გაუტანლობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გაჩაღებული ნამდვილი სამამულო ომი, რომელიც მეჭაბუკების სიცოცხლეს და დიდ თანხებს იწირავს.

იმ მეჭაბუკებს, იმ პირტიტველა ბიჭებს სიცოცხლეს ვეღარ დავუბრუნებთ, მაგრამ მათ მშო-

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

- „რა ჰქენით თქვენი ქვეყნისა და თქვენი შვილებისთვისო?" 3
- დაავადების პირველსავე საათებში გამოუძახეთ ექიმს. 4

კავკასიის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენს ხელთაა!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის სახელით საქართველოს სამთავრობო დელეგაციის პატივსაცემად გამართულ სადილზე

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მასპინძლებო, რადგან თქვენ წინ დგას ტელეკამერა, მინდა ასევე მივმართო აზერბაიჯანის ყველა მოქალაქეს, ყველა მცხოვრებს, მივესალმო ყველას და გითხრათ გულწრფელი მადლობა ნამდვილად კეთილი მასპინძლობისათვის, შესანიშნავი მიღებისათვის, თანამშრომლობის იმ სურვილისათვის, რომელიც თქვენ გამოავლინეთ და რომელმაც ასეთი დიდი შედეგები მოგვიტანა.

ამ საუკუნეში კავკასიის სახელმწიფოებმა — აზერბაიჯანმა, საქართველომ, სომხეთმა მეორედ მოიპოვეს თავისუფლება. საუკუნის დამდეგს ჩვენ დავკარგეთ მოპოვებული თავისუფლება, დავკარგეთ იმ ძალების ზეგავლენით, რომელთა შესახებაც თქვენ ახლა ბრძანეთ, ბატონო პრეზიდენტო. ჩვენ ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. დღეს სხვა მსოფლიოა და სხვა მსოფლიო წესრიგია. მაგრამ რამდენი მეგობარიც უნდა გვყავდეს მსოფლიოში, მეზობლების მეგობრობას ვერაფერი შეცვლის. კავკასიის ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენს ხელთაა. ამ თვალსაზრისით, მიმაჩნია, რომ დღევანდელი ჩვენი მოლაპარაკება და ის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებსაც ხელი მოვაწერეთ, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიაა.

დღეს კავკასია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. იმპერიის პირობებში, ალბათ, ბევრი ვერ მოძებნიდა, სად იყო კავკასია. დღეს მთელი მსოფლიო შეწუხებულია ჩვენთან შექმნილი ვითარებით. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი მოლაპარაკება და მისი შედეგები იმის გარანტიას იძლევა, რომ უახლოეს ხანს მსოფლიო გაიცნობს კავკასიას როგორც იმ რეგიონს, რომლის თავზეც მშვიდობიანი და ულრუბლო ცაა. თქვენ დღეს კარგად ბრძანეთ ჩვენს შეხვედრაზე, რომ ჩვენი ურთიერთობა დიდ ტრადიციებს ემყარება. ეს საუკუნეების გამოცდილებაა. მე მადლობას ვწირავ ყველას იმისათვის, რომ მომეცა საშუალება ახალ ეპოქაში, ახალი დამოუკიდებელი აზერბაიჯანისა და საქართველოს მშენებლობის გადამწყვეტ ეტაპზე ხელი მომეწერა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისათვის. თქვენ ბრძანეთ და მე გეთანხმებით, ეს ისტორიული დღეა ჩვენი ხალხების ცხოვრებაში. დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობები ასე შეაფასებენ ჩვენი მოლაპარაკების შედეგებს.

მინდა ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა გულითადი მასპინძლობისათვის, იმისათვის, რომ თქვენ წვლილი შეიტანეთ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის მშენებლობაში, დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი, მადლობა გადაგიხადოთ გულუხვი მასპინძლობისათვის. ამ მეტად მნიშვნელოვან წუთებში მინდა თქვენ პირადად, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს კოლეგებს, ყველა ოჯახს აზერბაიჯანში, ყველა მოქალაქეს ვუსურვო ბედნიერება, ჯანმრთელობა, ომის ღირსეულად დამთავრება და გისურვოთ ის, რომ აზერბაიჯანის ცა მუდამ ულრუბლო ყოფილიყოს.

მინდა შემოგთავაზოთ ბატონი პრეზიდენტის სადღეგრძელო, შემოგთავაზოთ მისი კოლეგების სადღეგრძელო, ყველა ჩვენი აზერბაიჯანელი მეგობრისა, რომლებიც მონაწილეობდნენ მოლაპარაკებაში და საუცხოო, საუკეთესო პარტნიორობა გაგვიწიეს, შემოგთავაზოთ მთელი აზერბაიჯანის სადღეგრძელო.

საქართველოს პარლამენტის სხდომა

4 თებერვალს მუშაობა განაახლა საქართველოს პარლამენტის მორიგმა სხდომამ, რომელიც კვლავ დახურული იყო. პარლამენტარებმა გააგრძელეს აფხაზეთის პრობლემების განხილვა.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

დაინიშნოს გენერალი გიორგი ნოდარის ძე ყარყარაშვილი თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდია) სარდლად.

თ. კიტოვანი.

3 თებერვალი, 1993 წელი.

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ბედი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **გაზეთ** „საქმიანი კვირის" რედაქციამ თავდაცვის ფონდში 30 ათასი მანეთი ჩარიცხა.

⊙ **საქართველოს** მწერალთა კავშირმა და მისმა გამომცემლობა „მერანმა" თავდაცვის ფონდში გადარიცხა 100 000 მანეთი. ამავე დროს თანამშრომლები ფონდში გადარიცხავენ ხელფასის ერთ პროცენტს.

⊙ **თბილისის** ფოლადთუჯსასხმელი ქარხნის კოლექტივმა საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 500 ათასი მანეთი და დამატებით მიიღო გადაწყვეტილება ყოველთვიურად თავდაცვის ფონდში გადარიცხოს მუშა-მოსამსახურეების ხელფასის 1%.

⊙ **თბილისის** ს. ზაქარიაძის სახელობის კულტურის სახელმწიფო სასწავლებლის კოლექტივმა თავდაცვის ფონდში გადარიცხა 20000 მანეთი.

სასწავლებლის საერთო კრების გადაწყვეტილებით აღნიშნულ ფონდში ყოველთვიურად გადაირიცხება პედაგოგ-თანამშრომელთა ხელფასებისა და სტუდენტთა სტიპენდიების ერთი პროცენტი.

⊙ **„მონტაჟთერმონაკეთობათა"** სპეციალიზებულმა სამმართველომ თავდაცვის ფონდში გადარიცხა 30000 მანეთი. გარდა ამისა, შეძენილი და გაგზავნილია 14000 მანეთის თბილი ქურთუკები, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან შეტანილია 9000 მანეთი. ამასთანავე, თანამშრომელთა გადაწყვეტილებით, ყოველთვიურად გადარიცხული იქნება ხელფასის ერთი პროცენტი.

⊙ **„საქმანქანას"** სამმართველომ (უფროსი ემზარ ორჯონიკიძე) სამმართველოს მოგებიდან თავდაცვის ფონდში გადარიცხა 200 000 მანეთი, თანამშრომელთა ხელფასის ფონდიდან 5 დღის ხელფასი — 85733 მანეთი. 1993 წლის იანვრიდან თავდაცვის ფონდში გადაირიცხება თანამშრომელთა ყოველი თვის ხელფასის 1 %.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან და მისი ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემისა და შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ყოველთვიური ფულადი დახმარებით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით:

1. ნებისმიერი ასაკის ლტოლვილს და იძულებით გადაადგილებულ პირს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მოხუცებულობის გამო იღებენ პენსიას ან იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (აქვთ უფასო კვება და ბინა), მიეცეს ფულადი დახმარება მინიმალური ხელფასის ოდენობით.

2. სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ პირებს მიეცეთ დახმარება და პენსია მინიმალური ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით.

3. პირებს, რომლებიც მოხუცებულობის გამო იღებენ პენსიას, დამატებით მიეცეთ დახმარება მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

4. ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას, სტიპენდიები, კომპენსაციები ან კანონით დადგენილი სხვა დახმარებები არ მიეცემათ.

5. ზემოაღნიშნულ პირთათვის დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციები განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებმა, შესაბამისმა ბანკებმა ყოველთვიურად უზრუნველყონ ფულადი დახმარებისა და მოხუცებულობის გამო პენსიის შეუფერხებელი გაცემა.

7. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეცეთ შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლება:

დროებითი ჩასახლების რეგიონის ფარგლებში — ყველა სახის სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) — უფასოდ;

სახელმწიფო, სარკინიგზო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით — დროებითი ჩასახლებისა და მუდმივი საცხოვრებელ ადგილს შორის — 50 პროცენტის ფასდაკლებით.

8. ზემოაღნიშნული შეღავათებით სარგებლობს ყველა ის პირი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი მიანიჭებს ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს.

9. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

10. განკარგულება ძალაშია 1993 წლის 1 მარტიდან.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 4 თებერვალი.

ფოტორეპორტაჟი

„აზოტი“ სტაბილურად მუშაობს

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მშრომელები, მიუხედავად საერთო ეკონომიკური სიძნელეებისა, სტაბილურად საქმიანობენ. მუშაობაში ჩავარდნა რომ არ ჰქონდეთ, მათ სამი თვის ნედლეული წინასწარ მოიმარაგეს. რუსთაველები თავიანთ პროდუქციას უცხოეთის ქვეყნებსა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ჰყიდიან. საწარმო მძლავრობს და მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევს.

სურათებზე: გაერთიანება „აზოტის“ ამონიაკის სინთეზის საამქროს ხედი; მეაპარატე ციცინო ბარდაძე; ლაბორანტი ქეთევან ჯავახიშვილი, ქიმიკოსი ეთერ ჯანგულაშვილი და ლაბორანტი მერი ასპანიძე მუშაობის დროს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

„დიდი საქართველო“ დიპლომატიურ ბილიკებზე

ლაზარე ზაქარიაძე

ყველაზე რთული და ყველაზე ფაქიზი სკოლა, რომელიც ქართულმა სახელმწიფოებრიობამ თავისი შენების გზაზე უნდა გაიაროს, მაინც ალბათ დიპლომატიური სკოლაა. რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ისეთი უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერს, როგორიც ქართველი ერია, და აგრეთვე ერს, რომლის სისხლშიც ზის დიპლომატიის ნიჭი, თანამედროვე პირობებში მხოლოდ დღეს უხდება პირველი ნაბიჯების გავლა ამ სიბრტყეზე. ეს ბუნებრივიცაა. ჩვენ არ გაგვაჩნდა ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ამდენად არც სახელმწიფოებთან ურთიერთობების სკოლა გაგვივლია. სახელმწიფოებთან ურთიერთობები — სათქმელად ადვილია. ურთულესია ადამიანებთან ურთიერთობა. ურთულესზე ურთულესია სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რადგანაც თითოეული სახელმწიფო — ეს ცალკე ინტერესთა სპექტრია, გავლენის სფეროთა სპექტრი. თუ ეს სპექტრი ვერ დაინახე, ვერ იგრძენი და ვერ გაითავისე, იმ კომპლექსებით სავსე ადამიანს დაემსგავსები, საკუთარი არასრულფასოვნების გამო ადგილი რომ ვერ უპოვია საზოგადოებაში. უარეს შემთხვევაში ეს არასრულფასოვნება კონფლიქტურობაში ვლინდება, კონფლიქტურობის სენში, ციებასავით რომ შეეყარა ჩვენს ძველ ხელისუფლებას.

ღვთის მადლით, დღეს ქართულ სახელმწიფოს ასეთი საფრთხე აღარ ემუქრება. სულ უბრალო მიზეზით: ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში ორი უმაღლესი რანგის დიპლომატი ჩადგა: ედუარდ შევარდნაძე და ალექსანდრე ჩიქვაიძე. ეს დიდი ბედნიერებაა. ბედნიერებაა, რადგან დიპლომატია მაინც ადამიანთა ურთიერთობებით იწყება და ამდენად გადამწყვეტია ადამიანის ფაქტორი. ჩვენი პირველი დიპლომატიური ნაბიჯები სწორედ ამ ფაქტორით იკვებება.

სახელმწიფოს მეთაურის მიერ მოხაზული დიპლომატიური ტრაექტორიის — ირან-აზერბაიჯან-თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა ცალკე თემაა და პროფესიონალთა კვლევის სფერო. ამჯერად მკითხველის ყურადღება იმ შინაგან ნიუანსზე მინდა გავამახვილო, რომელშიც უკვე ილანდება ახალი ქართული დიპლომატიის მომავალი — აქტიური პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. ჩავუკვირდეთ: ირანი ისლამური სახელმწიფოა, ისლამური რესპუბლიკა, ერთსახოვანი მიდრეკილებით ისლამისაკენ პოლიტიკაში. თურქეთი ევროპული ორიენტაციის მუსლიმანური სახელმწიფო, რომლის სახელისუფლო პლასტებში ისლამი უფრო სიღრმეშია ჩატანილი, უფრო ზუსტად უკანა პლანზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროირანული განწყობილება უცხოა თურქული პოლიტიკური აზროვნებისათვის. იზრდება რელიგიურად მოაზროვნე პოლიტიკური პარტიების პოპულარობა, რაც თურქული დემოკრატიის პირობებში ადვილი შესაძლებელია ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზშიც გაცხადდეს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იგი ახლადფეხადგმული ისლამური სახელმწიფოა, რომლის პოლიტიკური ორიენტაცია ჯერ არ არის მკვეთრად გამოხატული. ყველა შემთხვევაში სამივე სახელმწიფოს ინტერესში ზის საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ამ უკანასკნელის უაღრესად საინტერესო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პორტრეტის გამო. ირანში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტმა უზარმაზარი წონა შესძინა ჩვენს ქვეყანას როგორც თურქეთის, ასევე აზერბაიჯანის თვალში. ამას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომელთაც ამჯერად არ ჩავუღრმავდები. ერთი კია: საქართველოს სახელმწიფოს ინტერესში არ ზის აბსურდული კითხვა, რომელმაც პრესაშიც კი გაჟონა: „რა უნდოდა შევარდნაძეს ირანში“?... ყველაფერს აქვს საზღვარი. მსოფლიო გვიყურებს, ბოლოს და ბოლოს.

მოვლენათა კვალდაკვალ

სულ ახლახან თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას შეშფოთება გამოთქვეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გამო. ამ შეშფოთებაში იგრძნობოდა არა მარტო კეთილი თანაგრძნობის, არამედ სერიოზული სიფრთხილის ნოტაც, საკუთარი ეთნიკურ-რელიგიური შინაარსით ნასაზრდოები. ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პოლიტიკის შიგა ანატომიას აღმოსავლეთის თვალში. კავკასიაში მიმდინარე პროცესები საკუთარ თავში უზარმაზარ საფრთხეთ მუხტს ატარებს, რომელიც აშინებს დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. ამიტომაც ენიჭება ასეთი დიდი მნიშვნელობა საქართველოს კეთილ ნებას.

ერთმა თურქმა ჟურნალისტმა ჰკითხა ბატონ ედუარდს, გაქვთ თუ არა მიზნად „დიდი საქართველოს“ შენებაო და ამ სიტყვებში „დიადი თურანის“ ასოცირება ჩადო. სახელმწიფოს მეთაურს გაეცინა და უპასუხა, თუ კი „დიდ საქართველოში“ ინტელექტს, გონებასა და სულს ვგულისხმობთ, ამავე გეოგრაფიულ ფარგლებში, ნამდვილად მაქვსო.

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს პირველი ნაბიჯები დიპლომატიურ ბილიკებზე, ჭეშმარიტად დიდი საქართველოს ნაბიჯებია.

მომზადდა ფუძემდებელი დოკუმენტი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბორის პასტუხოვის ინტერვიუ საქართველოსთან მოლაპარაკების შესახებ

მოსკოვი, 4 თებერვალი. (იტარ-ტასის კორ. ვიტალი გორდიენკო). რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბორის პასტუხოვმა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ილაპარაკა, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოსთან. მან განაცხადა, რომ „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მაინცდამაინც კარგი ხანა არ უდგას“.

მისი აზრით, საქმეს ის ართულებს, რომ „ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს არავითარი სამართლებრივი ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი ორი სუვერენული სახელმწიფოს ურთიერთობას“. ბორის პასტუხოვმა თქვა, რომ თბილისის მოლაპარაკებაზე მომზადდა ფუძემდებელი დოკუმენტი — მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი. ტექსტი ძირითადად შეთანხმებულია, აგრეთვე რამდენიმე შეთანხმება სამხედრო საკითხებზე, საკონსულო კონვენცია. ამასთან, პასტუხოვის თქმით, „რუსეთის ახალგაზრდა დიპლომატიას, რომელიც თავისთავს ამკვიდრებს საქართველოში, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია ზრუნვა რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დაცვისათვის“.

როგორც რუსეთის დიპლომატმა თქვა, „ჩვენი თანამემამულეებისათვის საქართველოში უნდა გაირკვეს მოქალაქეობის საკითხი. ხოლო მათგან ისინი, ვინც წასვლას მოინდომებს, გაემგზავრებიან ორგანიზებულად ჩვენი კონსულების დახმარებით, და არა როგორც უბედური ლტოლვილები“.

დასასრულ ბორის პასტუხოვმა დასძინა, რომ „რუსეთის დიპლომატია არასოდეს არავის არ აძლევდა და არც ახლა მისცემს ნებას ელაპარაკონ ძალის პოზიციიდან“. ამას, თქვა მან, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს თბილისში მიმდინარე მოლაპარაკების ხასიათთან.

დაყოფა, რომელიც მთლიანობას შეუწყობს ხელს

გალინა ხარებაშვილი

ბატონი ირაკლი შენგელაია პარლამენტის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. მხოლოდ ორი ხმით მოუგო თემურ ჟორჟოლიანს. როგორც კი ტაბლოზე შედეგები აინთო, ბატონმა თემურმა პირველმა მიულოცა წარმატება. პირიქით რომ მომხდარიყო, თქვენ როგორ მოიქცეოდით-მეთქი, ბატონ ირაკლის ვკითხე. მილოცვას ყველას დავასწრებდით, მიპასუხა. ეს ისე, საუბრის ბოლოს ვკითხე, მანამდე კი...



ირაკლი შენგელაია (მოკლედ საკუთარ თავზე): **დავიბადე 1947 წელს თბილისში. თუმცაღა საინჟინრო განათლება მაქვს (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე), ერთხანს ვმუშაობდი მასწავლებლად, შემდეგ — გამომცემლობაში, პუბლიცისტური სტატიების გვერდით გამოქვეყნებული მაქვს ორიოდე მხატვრული ნაწარმოები, რომელთაც დღეს, ცოტა არ იყოს, კრიტიკულად ვაფასებ.**

ნებისმიერი ახალი სამსახურის გაჩენა უპირველესად ერთ ლოგიკურ კითხვას ბადებს. რა ფუნქციას ისახავს მიზნად იგი?

როგორც თავმჯდომარის სიტყვებიდან, ისე კომისიის ერთ-ერთი სხდომიდან შევიტყვე, კომისიის ძირითადი მიზანია რეფორმაზე მუშაობა. ამასთან საქმიანობა, შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, პირობითად ასე შეიძლება განაწილდეს: უახლოეს ხანებში გადასაწყვეტი ამოცანები და შედარებით პერსპექტიული მიზნები, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს. დავაკონკრეტოთ:

— დღესდღეობით, ვინ არ დამეთანხმება, საქართველოში მართვის არანაირი სტრუქტურა არ არსებობს. თუკი რამეს მოშლა შეიძლებოდა, უახლოეს წარსულში ყველაფერი მოიშალა. ცხოვრება რაღაც საოცარი თვითდინებით მიდის, კაცმა არ იცის, ვის რა მოეკითხოს ან მოსთხოვოს. ამასთან მე მხოლოდ იმ რეგიონებს არ ვგულისხმობ, რომლებშიც განსაკუთრებით დაძაბული ვითარებაა. ეგრეთ წოდებული მშვიდობიანი ზონებიც მაქვს მხედველობაში. წესი და რიგი აღარსად მოქმედებს. ამიტომ ჩვენ გამოუსწორებელ შეცდომას ჩავიდენთ, თუ რეფორმების სრულყოფილად შემუშავებას და მათ ამოქმედებას დაველოდებით. უმოკლეს ვადებში უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები, რათა ადგილებზე ცხოვრება რაღაც ნორმის ფარგლებში მოვაქციოთ. ამასთან არც ის უნდა დავუშვათ, რომ დღეს წესრიგისათვის მიღებულმა ზომებმა სამომავლოდ რეფორმებზე მუშაობაში ხელი შეგვიშალოს, პირიქით, — ეგრეთ წოდებული გარდამავალი პერიოდის სტრუქტურები საბოლოო ანგარიშით ზუსტად ჩვენს ძირითად მიზანს უნდა მოემსახუროს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — კონკრეტულად რა არის რეფორმის არსი? ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ადამიანის თვითმმართველობის დამკვიდრება, პიროვნების სრული სუვერენიტეტი. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პიროვნება აბსოლუტურად თავისუფალი იყოს, იგი თვითონ უნდა განაგებდეს საკუთარ თავს, საკუთარ ცხოვრებას, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული მეორე ადამიანზე. აქ მთავარია საკითხის მეორე ასპექტი: ადამიანის ყველა ამ უფლებას სახელმწიფო უნდა იცავდეს.

პიროვნების ჭეშმარიტი სუვერენიტეტი, რეალური, ნამდვილი ავტონომიაა, თორემ კომუნისტებისდროინდელ სიტყვით თავისუფლებას რა შეედრებოდა, გალაღებულნი რომ ვმღეროდით „ეს ქვეყანა ჩემია, რანინა, რანუნიო...“ მწერალი, სცენარისტი ტონინო გუერა რომ წერდა ჩვენზე, თქვენმა სახელმწიფომ უმწეო ბავშვების როლში ჩაგაყენათ, ყველაფერზე ზრუნვა თავის თავზე აიღო და კაცურად ფეხზე დადგომის და საკუთარი ცხოვრების მართვის საშუალება არ მოგცათ. ამიტომ თქვენი ქვეყანა დიდი ბავშვების ვეებერთელა საკრებულოდ წარმომიდგენიაო. გუერა ჩვენი ქვეყნის მეგობარია და რბილად თქვა, თორემ სახელმწიფომ უმწეო ბავშვების კი არა, ხელგაწვდილი მათხოვრების როლში ჩააყენა თავისი ხალხი და საკუთარი თავის პიროვნებად წარმოდგენის საშუალება მოუსპო. და მოდის ინერცია ასე.

საქართველოს პარლამენტის მუდმივ კომისიებში

ახლა ცვლილებათა სათავეებთან ვდგავართ. შეცვლა ყველაფრისა ძნელია, ისტორიის ჩარხის შებრუნება კი — უზომოდ ძნელი. ამიტომ გვიჭირს ყოველმხრივ ასე დღეს. მაგრამ ალბათ ისევ რწმენამ უნდა გადაგვარჩინოს, რწმენამ უკეთესი ხვალინდელისა, ის კი ჩვენს ხელთაა, თითოეული ჩვენგანის ხელთ. მაგრამ მოდით, „პირველსა მას სიტყვასა მოვიდეთ“, ანუ სასაუბრო თემას დავუბრუნდეთ.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ირაკლი შენგელაიასეული კონცეფციის არსი ზოგადად არის საქართველოს დაყოფა ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრინციპით.

— არსებობს რეგიონული მოწყობის რამდენიმე ვარიანტი. პირველი ვარიანტი შემოგვთავაზა საბჭოურმა სისტემამ ეთნიკური ავტონომიების სახით, რაც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. მეორე ვარიანტს, რომელსაც გვთავაზობენ აფხაზეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები, შეიძლება ეწოდოს ორსუბიექტიანი ფედერაცია. რას გულისხმობს ეს? საქართველომ და აფხაზეთმა უნდა დადონ ხელშეკრულება ერთ სახელმწიფოში ყოფნის თაობაზე. ესეც მიუღებლად გვიჩანს. მესამე არის ქვეყნის ფედერალური მოწყობა, რომლის დროსაც ქვეყანაში შემავალი ყველა მხარე საკონსტიტუციო თვითმმართველობას ახორციელებს და მეოთხე — თვითმმართველობის განვითარება, რომლის პირობებში საკანონმდებლო თვითმმართველობა საკონსტიტუციო თვითმმართველობაში არ არის გადაზრდილი.

პირველ ორ ვარიანტზე ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. საუბარია იმაზე, თუ ბოლო ორი სახეობიდან რომელი უფრო მისაღები იქნება საქართველოსთვის. არსებობს სხვა ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად ავსტრიისა, სადაც გარკვეულწილად შერწყმულია ფედერალური მოწყობა და საკანონმდებლო თვითმმართველობა. კლასიკური ტიპის ფედერალიზმი, როგორც ასეთი, მსოფლიოში აღარ არსებობს. ისეთი ქვეყნებიც კი როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, გერმანიაა, უკვე განახლებული ფედერალური მოწყობის, ეგრეთ წოდებული ახალი ფედერალიზმის ქვეყნებია. სხვათა მაგალითები ერთია, მაგრამ მეორეა შენი საკუთარი ქვეყნის მოწყობა. კონკრეტულად საქართველოსთვის რომელი მოდელია მისაღები? ეს ძალზე ფრთხილად და შეუცდომლად უნდა გადავწყვიტოთ. ჩვენ დეცენტრალიზაციის გზით ანუ თვითმმართველობის განხორციელებით მივდივართ. სანამდე ვივლით, ამას კონკრეტულად მომავალი გვიჩვენებს. ფაქტობრივად თვითმმართველობის უფლებები განვითარებაში მიიღწევა.

როგორც უკვე ვთქვი, თვითმმართველობის მთავარი სუბიექტი ადამიანია და სახელმწიფო ვალდებულია ამგვარი განვითარებით ხელი შეუწყოს პიროვნების თვითგამორკვევას. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, ეს არის პიროვნების თვითმმართველობის სახელმწიფოებრივ-სტრუქტურული განხორციელება. ეს არის მუდმივი პროცესი. ერთი საბოლოოდ ჩამოყალიბებული უცვლელი მოდელი არ არსებობს. ჩვენც ყოველივე ამის გათვალისწინებით ვიმოქმედებთ.

ადრე, სულ სხვა თემაზე საუბრისას ბატონმა ელდარ შენგელაიამ გამოთქვა აზრი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ. მისი აზრით საქართველოს სპეციფიკას ყველაზე მეტად შეესაბამება, ასე ვთქვათ, რეგიონული პრინციპით მისი დაყოფა დაახლოებით იმგვარად, როგორც გერმანიაშია.

„რად უჩანთ აგრე მიუღებლად ეს პრინციპი ზოგიერთებს, ჩემთვის გაუგებარიაო — თქვა მან, — ამაოა იმის შიში, რომ საქართველო დაიყოფა, დანაწილდება, დაქუცმაცდება. სწორედ რომ პირიქით. მთელი ჩვენი ისტორია ხომ დაცალკევება-გამთლიანების გამუდმებული პროცესია. ამაში ხომ ვერავინ შემომედავება. აი, ჩემი აზრით, თუ ამგვარ ფედერალურ პრინციპზე ავაგებთ ჩვენს მომავალს, ეს საშიშროება უკვე აღარასოდეს დაგვემუქრება ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ისეთი დანაწილება იქნება, რომელიც საბოლოო მთლიანობას შეუწყობს ხელს, არავითარ პრობლემას აღარ შეუქმნის მას.

ეს ზოგადი კონცეფციები. კონკრეტულად კი საქმიანობა უკვე მიმდინარეობს. ადგილებზე არჩევნებამდე რაიონებში გამგებლები დაინიშნებიან. არჩევნების ზუსტი ვადა გადაწყვეტილი არ არის, ხოლო როცა გაიმართება, ადგილებზე მოსახლეობას საკუთარი ნების გამოხატვის რეალური საშუალება მიეცემა. მანამდე კი, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეგრეთ წოდებულ დროებითს ხელისუფლებას უნდა დამორჩილდნენ.

ბატონმა ირაკლი შენგელაიამ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის ტრიბუნიდან წინადადება წამოაყენა კანონ-პროექტები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად მივიღოთო. ჯერ მივიღოთ კანონი სოფლის თვითმმართველობის შესახებ, მოვაწყოთ არჩევნები, მერე წავიწიოთ წინ და ასე...

ავთანდილ მარგიანი:

კრიზისს თავს მალე დავაღწევთ, თუკი...

(დასასრული)

ბელ ხალხსა და ქვეყანას სიმშვიდე და ძლიერება რომ დაუბრუნდეს, ამისთვის ომის ღირსეულად დამთავრებასთან ერთად საჭიროა აღვადგინოთ დანგრეული ეკონომიკა, გადამწვარ-გადაბუგული და დანგრეული ქალაქები და სოფლები. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს საზოგადოებაში დემოკრატიზაციის დამკვიდრებისა და საბაზრო ეკონომიკაზე სრული გადასვლის პირობებში. აი, ასეთ მოთხოვნებს ითვალისწინებს ჩვენს მიერ შედგენილი რესპუბლიკის აგროკომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის სამწლიანი პროგრამა, რომლის რეალიზაცია უკვე მიმდინარეობს. დაწყებულია და უახლოეს მომავალში დამთავრდება მიწისა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზაცია.

სხვათა შორის, მიწის პრივატიზაცია ჩვენს ქვეყანაში მოუმზადებლად დაიწყო. ძირითადში ეს ნაკლოვანება შეეხება არასრულყოფილ იურიდიულ ბაზას და სამართლებრივ საფუძვლებს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რაიონში მიწები კი დარიგდა, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული მის დასამუშავებლად საჭირო მექანიზაციისა და ქიმიზაციის საშუალებანი და ბევრი გლეხკაცი ბედის ანაბრად მიტოვებული აღმოჩნდა.

ყოველივე ამას ვითვალისწინებთ ჩვენს მომავალ საქმიანობაში და მიწის მესაკუთრე შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნება სოფლად სერვისული მომსახურებით. აი, ამ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის აღკვეთის მიზნით შეიქმნა მიწის პრივატიზაციის დაჩქარების სამთავრობო კომისია, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით კვლავ შეინიშნება კონსერვატორული და ბიუროკრატიული ტენდენციები. ყოველივე ამის გადასალახავად დღესდღეობით საკმარისი არ არის საკანონმდებლო აქტი. მკითხველს თავს არ შევაწყენ ამ დარგში არსებულ საერთო სირთულეთა მოყოლით, ხალხმა ეს კარგად იცის. ამიტომაც ამირჩია პარლამენტში და წილხვედრად მარგუნა მთელი ძალისხმევა წარვმართო ამ სირთულეთა დასაძლევად.

— ბატონო ავთანდილ, ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანასა და ყაზახეთს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ხელშეკრულება ჯერ კიდევ შარშან, 8 ნოემბერს დაიდო. ისიც ცნობილია, რომ ამ ხელშეკრულების პუნქტებმა რატომღაც ვერ იმუშავა. ამასთან ერთად მიმდინარე წლის 7 იანვარს ქ. ალმა-ათაში თქვენ ხელი მოაწერეთ ამ ხელშეკრულების საბოლოო ნაწილს, რამაც ზოგიერთ პუბლიკაციაში გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია და არაერთგვაროვანი აზრი წარმოქმნა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— დიახ, ჩემთვის გაუგებარია, ისინი, ვისთვისაც სულ ერთია საკუთარი ხალხის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიდგომის ესა თუ ის ფორმა, არარსებულისაგან რატომ ქმნიან „არსებულ“ პრობლემებს. უნებლიედ იბადება კითხვა: მათ მართლაც კრიზისიდან გამოსვლა აინტერესებთ, თუ მისი გაღრმავება? ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო მიესადაგება მათ მოქმედებას, თუ რა თქმა უნდა, ამას უცოდინარობით არ ჩადიან. მოგეხსენებათ, არცოდნა არცოდვაა.

საქმის ნამდვილი არსი ასეთია: ყაზახეთთან დადებული ხელშეკრულების მთავარი მიზანი ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტის — ხორბლის შესყიდვა იყო. ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ქვეყანას წელიწადში არანაკლებ 1.800 ათასი ტონა მარცვლეული სჭირდება. და ეს მაშინ, როცა შარშან მხოლოდ 60 ათასი ტონა ვაწარმოეთ. ეს ციფრები კომენტარს არ საჭიროებს.

ყაზახეთი, როგორც მოგეხსენებათ, მარცვლეულის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი და ერთ-ადერთი ექსპორტიორია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. რუსეთმა, უკრაინამ, ბელორუსიამ, აღარაფერს ვიტყვი სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე, მას მილიონობით ტონა მარცვლის მიყიდვა თხოვეს. ყაზახეთთან 3 ნოემბერს დადებული ხელშეკრულებით შევთანხმდით, რომ ერთმანეთს მივაწვდიდით, უფრო სწორად მივყიდდით ორნახევარი მილიარდი მანეთის საქონელს. პირვანდელ ხელშეკრულებაში, ვიმეორებ, ლაპარაკი იყო თითქმის ყველაფერზე, გარდა მარცვლეულისა, რომელზეც მაშინ საერთოდ უარი გვითხრეს. ორნახევარი მილიარდი მანეთის საქონლის მიყიდვის მექანიზმში ეროვნული ბანკები ამ თანხის ოდენობით ეგრეთწოდებულ ტექნიკურ კრედიტებს ხსნიან საბანკო მეურნეობაში კარგად ცნობილ საკორესპონდენტო ანგარიშზე პროდუქციის სათანადო თანხების გატარებისათვის. ასე რომ, ტექნიკური კრედიტი ფულის რაიმე ერთეულის ცალკეული განმსაზღვრელი კი არა, ის ჩარჩოა, რაშიც უნდა „ჩაეტიონ“ პროდუქციის ურთიერთმიმწოდებელი მხარეები, მოცემულ შემთხვევაში ყაზახეთი და საქართველო.

7 იანვარს განახლებული მოლაპარაკებისათვის საერთო მაჩვენებლებითა და მონაცემებით უკეთ მომზადებულნი ჩავედით. ყაზახეთის ეროვნულმა ბანკმა პირველადი, ანუ ძირითადი დოკუმენტების გარეშე წარმოგვიდგინა თავისი მონაცემები, რითაც, ასეთი სურათი დაიხატა: საქართველოს ყაზახეთისგან შესყიდული აქვს 9 მილიარდი მანეთის სხვადასხვა სამრეწველო და სასურსათო პროდუქცია. თუ ამას ვაღიარებდით, ისინი საბოლოოდ მოაწერდნენ ხელს ხელშეკრულებას ხორბლისა და სხვა პროდუქტების მოყიდვის თაობაზე. იმდენად, რამდენადაც ჩვენს მხარეს მართლაც აძლევდა ხელს ისეთი პროდუქციის, როგორიცაა კილოგრამი კეთილშობილი დაფნის ფოთლის 5 დოლარად, კილოგრამი ბაიხის ჩაის 2 დოლარად, ფაბრიკა „ისნის“ მიერ გამოშვებული ფეხსაცმლის 12 დოლარად მიყიდვა და ა. შ., ჩვენ დავთანხმდით, რომ საქართველო სიამოვნებით მიაწვდიდა მათ ამ ფასებში 9 მილიარდი მანეთის დასახელებულ საქონელს. ყველა სხვა დანარჩენი მკითხველისთვის მიგვინდია განსასჯელად.

სინამდვილეში მართლაც ვალთან გვაქვს საქმე, თუ ჩვენს ოპონენტებს სურთ დააბნიონ ისედაც სასოწარკვეთილი ჩვენი მოსახლეობა, ან გაანაწყენონ ჩვენი მეგობარი ყაზახეთი, რომელიც ერთგულად ამოგვიდგა გვერდში და ხორბლით დატვირთული 70 ვაგონი ამ დღეებში კიდეც მოგვაწოდა?

აქვე დავძენ შემდეგს: პირველადი საბანკო დოკუმენტების ადგილზე შედარებამ დაგვიდასტურა, რომ ჩვენს მხარეს ყაზახეთისგან შესყიდული აქვს არა 9 მილიარდის, არამედ 1,5 მილიარდი მანეთის, ხოლო მიწოდებული გვაქვს 800 ათასი მანეთის საქონელი. ყაზახეთი თანახმაა წლის პირველ კვარტალში გავცვალოთ 5 მილიარდი მანეთის საქონელი, რაც ამჟამად ფაქტობრივად ხორციელდება.

სხვათა შორის, ყაზახეთის მიერ მოწოდებული ხორბლით დავიწყეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან აღებული 32 ათასი ტონა ხორბლის ვალის დაფარვა.

— ბატონო ავთანდილ, მიმდინარე წლის 10 იანვარს მთავრობამ გამოსცა ფრიად საყურადღებო განკარგულება კომერციულ მაღაზიებში სამამულო საწარმოებში გამოშვებული ზოგიერთი სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის დროებითი შეზღუდვის თაობაზე. სხვათა შორის ამანაც ზოგიერთების საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. გთხოვთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე.

აქტუალური ინტერვიუ

— კომერციული სტრუქტურები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მერცხლები არიან. ისინი ამ ორიოდე წლის წინათ გამოჩნდნენ ჩვენს ქვეყანაში და მთელი ჩვენი მეცადინეობა უნდა წარმართულიყო მათი გაძლიერებისათვის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მათმა საქმიანობამ ნამდვილი მეწარმეობის ხასიათი და შინაარსი შეიძინოს.

ბევრ კომერსანტს პირადად ვიცნობ და ახლობელ ადამიანად ვთვლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გამოირკვა, რომ კომერციულმა სტრუქტურებმა თავიანთი ძირითადი დანიშნულება — პროდუქციის შექმნა დაივიწყეს და წმინდა საშუამავლო ფუნქციები იკისრეს. ძნელად თუ ვინმე დაასახელებს რესპუბლიკაში ისეთ კომერციულ სტრუქტურას, რომელიც პროდუქციას ქმნის. ვფიქრობ, ბევრმა ისე გაიგო, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაბაზრებას ნიშნავს. ადგილობრივი წარმოების პროდუქციის სხვადასხვა ხერხით ცეცხლის ფასად გაყიდვა საძრახისი და საჩოთირო უნდა იყოს. შევარცხვინე ისეთი კომერსანტი, რომელიც თავისი ხალხის შიმშილს იტანს და გულგრილად უყურებს, ან სხვათა გატყავებით მდიდრდება, ვინც „მალრბოროს“ გვერდით „ასტრას“ დაალაგებს, ხოლო განთქმული შოკოლადის „სნიკერსის“ გვერდით თბილისის ქარხნის მიერ გამოშვებულ თალხ მაკარონს.

ჩვენს ქვეყანაში ომია, ნამდვილი სამამულო ომი: ეს ყველამ უნდა შევიგნოთ და ამ ექსტრემალურ პირობებში მოსახლეობისა და არმიის პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის, არა მგონია, მთავრობას დროებითი ღონისძიების გატარების უფლება არ ჰქონდეს. სწორედ ამის ნაყოფია უკვე მოპოვებული პირველი შედეგები: თუ დეკემბერსა და იანვრის პირველ ათდღიურში კვერცხი 25-27 მანეთად იყიდებოდა, ახლა მისი ფასი დაახლოებით 10 მანეთით შემცირდა. მკვეთრად დაიკლო შამპანურის, თამბაქოს ნაწარმის, კარტოფილის, ხახვის, მაკარონისა და სხვათა ფასებმა, თუმცა იგი შორს არის სასურველისაგან.

სხვათა შორის, კომერციულ სექტორში რეალიზებული პროდუქციიდან ამონაგები ფაქტობრივად ჯერჯერობით უკონტროლოა და არ შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. სამწუხაროდ, ამიტომაც გვაქვს ასეთი სავალალო მდგომარეობა.

კონტროლის სახელმწიფო პალატისა და საგადასახადო ინსპექციის მიერ ჩატარებულმა ბოლო პერიოდის შემოწმებამ ცხადყო, რომ სახელმწიფო თუ კომერციული სტრუქტურები თავს არიდებენ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას. სულ რაღაც მცირე პერიოდში ამოღებულ იქნა რამდენიმე მილიარდი მანეთი. თქვენ წარმოიდგინეთ, თუ შემოწმება მასშტაბური იქნებოდა და საამისოდ ზემოხსენებულ უწყებებს სათანადო ძალები ეყოლებოდა, რა შედეგებთან გვექნებოდა საქმე. ჩვენ კვლავაც უნდა განვაგრძოთ ამ საკითხის შემოწმება.

შემდგომშიც გავაგრძელებთ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო პროდუქტების განსაზღვრული ნორმებით და სიებით დარიგებას. ჩვენს ქვეყანაში ძალიან დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ აუცილებელი პროდუქტები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. მაგრამ საამისოდ პირველ რიგში ყველაფერი უნდა ვიღონოთ ყველაზე სასტიკი მტრის — შინააშლილობის დამარცხებისა და ომის ღირსეულად დამთავრებისათვის, ამას ჩვენ მივაღწევთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება. ამას უნდა დაემატოს მკლავებდაკაპიწებული შრომა, რომელიც, საუბედუროდ, დავივიწყეთ. ბეჯითი შრომის გარეშე ვერც ვერაფერს შევქმნით და ვერც კრიზისისგან ვიხსნით თავს. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი მოძღვრისა და სულიერი მამის ილია მართლის შეგონება, რომ შრომის, გარჯის, ცოდნისა და ხერხის გარეშე ვერაფერი და ვეღარა გვიხსნის რაო.

მუდამ წავახალისებდით და კვლავაც წავახალისებთ ბიზნესმენებს, და კომერსანტებს. ამ საქმის უკეთ წარმართვის მიზნით გათვალისწინებულია შევქმნათ ბიზნესის ხელშემწყობი რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო და მის სათავეში ნიჭიერი და კომპეტენტური ხელმძღვანელი ჩაუდგება.

— ბატონო ავთანდილ, ამას წინათ პარლამენტის სხდომაზე ბიუჯეტის არსებული დეფიციტი განხილვის დროს ხანგრძლივი და ფართო დისკუსიის მსჯელობის საგანი გახდა. ამაზე რას იტყოდით?

— მე უკვე მოგახსენეთ, რომ, თუ უფრო ადრე არა, 1990 წლის შემოდგომიდან დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა, ყოველგვარი ახლის მშენებლობის გარეშე. შექმნილი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სხვა სახის პროდუქციის რეალიზაციის ნაწილიდან, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პროცენტული მოცულობით დგება სახელმწიფო ბიუჯეტი. და თუ ქვეყანაში, მის ეკონომიკაში ნგრევისა და აოხრების მეტი არაფერი კეთდებოდა და არაფერი იქმნებოდა, საიდან შედგებოდა ბიუჯეტი? წარმოიდგინეთ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ერისა და ქვეყნის ისეთი მძლავრი ბერკეტები, როგორიცაა კულტურა, ხელოვნება, სპორტი, ტურიზმი, კურორტები... ერთიანად განადგურდა. თორემ ყველამ კარგად უწყის, ისინი ბიუჯეტს რა შეღავათს აძლევდნენ. აი, რა არის ჩვენი უბედურება, სად არის მისი სათავეები. გადადგმული ნაბიჯები, შემუშავებული ღონისძიებანი სრულ გარანტიას გვაძლევს, რომ სულ უმოკლეს ხანებში, თუ მთლად დაწყევლილი არ ვართ ღვთისაგან და გავყვებით გონიერებას, ქვეყნის აღმშენებლობის გზას, ჩვენ გვექნება ჩვენი შესაფერისი დაბალანსებული, გაწონასწორებული ბიუჯეტი, ძლიერი ეკონომიკა, გაგრძელდება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების პროცესი.

— ბოლოს, რას გვეტყვით, ბატონო ავთანდილ, რუსეთთან ხელშეკრულების დადებაზე?

— ვფიქრობდი, ამას უფრო ადრე შემეკითხებოდით. საქართველო ყველა ქვეყანასთან კარგ დამოკიდებულებაში უნდა იყოს, მით უფრო უფლით ბოძებულ სამეზობლოსთან, განსაკუთრებით რუსეთთან. მართალია, გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში ჩვენს წინაპრებს მისგან ბევრი ტკივილი ახსოვთ, მაგრამ აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ქვეყანა, ერი და ამა თუ იმ პერიოდის ხელისუფალნი, დემოკრატიული და რეაქციული რუსეთი.

ქართველი ინტელიგენცია საუკუნეობით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რუსი ერის სახელოვან შვილებთან. არ შევუდგები რუსის ჯარის დახასიათებას, არც გეორგიევსკის ტრაქტატის განხილვას დავიწყებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ დიდმა ილიამ გენიალური პუბლიკაცია დაგვიტოვა რუსის ჯარის შემოსვლის 100 წლისთავზე. ეს ბევრისა და ყველაფრის მთქმელია. დავძენ იმასაც, რომ რუს ხალხთან, ამ ქვეყანასთან საუკუნოვანმა მეგობრობამ ბევრად განაპირობა ჩვენი დღევანდელი სახე.

ახლა ყველა ნათლად ხედავს, რომ გაეროს წევრი ქვეყანა, თუმცა მისი ღირსი გვიან გავხდით, თავისი ცხოვრებით სუნთქავს. ჩვენ ხომ ჩვენი თვითმყოფადი კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, ჩვენი ლექსი და სიმღერა, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი ეროვნული ფორმა და შინაარსი გაგვაჩნია. ჩვენ ხომ უკვე ცივილიზებული სამყაროს პოტენციური წევრები ვართ. რა თქმა უნდა, უკეთესი და უბედნიერესი ცხოვრების ღირსნი ვიყავით, ჩვენი გეოპოლიტიკური და ისტორიული ქარტეხილების პირობებში ხომ მაინც შეუძლებელი შევძელით თითქმის ყველასთან ურთიერთობაში. აქვე დავძენ, რომ ბევრი ქართველი ცხოვრობს უცხო დემოკრატიულ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენი და ჩვენი უცხოეთში მცხოვრები ძმების ბედის შედარება უბრალოდ, უხერხულად მეჩვენება. ასე რომ, საქართველოსთვის უმთავრესია რუსეთთან საუკეთესო, თანასწორი, მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ხელისუფლება, რომელიც ამას ვერ შეძლებს, ვფიქრობ, დიდ სიძნელეს შეუქმნის თავის ხალხსა და მშობელ ქვეყანას. ჩვენ კი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. ამით ისედაც ბევრი ზიანი დავიტეხეთ თავს.

— გმადლობთ საუბრისათვის. თქვენი ოპტიმიზმი ჩვენც დიდი იმედით განგვაწყობს.

ესაუბრა

დავით ბიწაძე.

ეროვნული მოძრაობის „ახალ ეტაპზე“

საზრისი

შალვა ხიდაშელი

გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში რამდენიმე ფაქტი მოხდა, რომლებშიც ილია ჭავჭავაძემ ერისათვის სასიკეთო ნიშნები დაინახა. ერთ ცნობილ რუს მწერალს დაუწერია, რომ ქართველები მთელი თავისი ისტორიით და კერძოდ რუსეთთან ურთიერთობით იმსახურებენ დიდ პატივისცემას და კეთილ დამოკიდებულებას. რუსულ პრესაში გამოქვეყნებულა მოწოდება, რომ კავკასია კი არ არსებობს რუსი მოხელეებისათვის, არამედ „მოხელეები არიან კავკასიისათვის“; ცნობილი გამხდარა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლის, ახალი მთავარმმართებლის მოქმედების მომავალი გეგმები და დაპირებები, რომლებიც ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

ცნობილი გახდა ისიც, რომ მთავარმმართებელი დიდ იმედებს თვით ქართველ ხალხზე, მის ამოქმედებაზე და აქტიურ მხარდაჭერაზე ამყარებდა.

ილია ჭავჭავაძე რწმენით და იმედით შეხვდა ამ მოვლენებს და მოუწოდა ერს ერთიანობისა და პასუხისმგებლობისაკენ, რომელიც აუცილებელი იყო „დროთა ვითარებისაგან ზურგზე წამოკიდებული“ ამ „მძიმე ტვირთის“ ბოლომდე გატანისათვის. ამავე დროს, აფრთხილებდა თავის თაობას, რომ დადგებოდა დრო მომავალი თაობის („ჩვენი შვილების“) მხრივ განკითხვისა და კითხვაზე პასუხის გაცემისა: „ეს ამისთანა შემთხვევა გქონდათ და რა ჰქენით თქვენი ქვეყნისა და თქვენი შვილებისათვისო?“

ეს მარადიული კითხვაა და ვერც ჩვენი თაობა გადაურჩება მომავალი თაობის განაჩენს. განსხვავება ისაა, რომ იმ ამბებიდან მთელმა საუკუნემ განვლო და დღეს ცხოვრებამ კიდევ უფრო მძიმე „ტვირთი წამოგვკიდა“. იმ დროს თუ მხოლოდ პოლიტიკურ მოვლენათა ლიბერალიზაციაზე შეიძლებოდა ფიქრი, დღეს უფრო მნიშვნელოვანი, რთული და „მაღალი ნატვრის“ — ეროვნული დამოუკიდებლობის და ქართული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის პრობლემა დადგა.

ცნობილია, რომ ყოველი ცალკეული ქვეყნის და განსაკუთრებით მცირე ერის ცხოვრებაში, რომლებიც მძლავრი სახელმწიფოებით არიან გარშემორტყმულნი, დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ იქმნება პერიოდულად პირობები, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ერის შინაგან ძალებს, პიროვნებებს და სუბიექტურ ფაქტორს ენიჭება.

გავიხსენოთ ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: „ღმერთმა ადამიანი გააჩინა და უბრძანა — წადი, შენს თავს მოუარეო, შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო“.

ყოველგვარ მოძრაობაში და კერძოდ ეროვნული მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლის პირობებში სუბიექტური ფაქტორი აზრის, გრძნობების და ნებელობის მთლიანობით გვევლინება და მასში სამივე „საწყისი“ მოქმედებს. ილიას სიტყვებით, რომ ვთქვათ არ შეიძლება პიროვნება მხოლოდ „ჭკუით და გონებით იყოს მომზადებული“; აუცილებელია მას „გულიც ჰქონდეს გაღვიძებული“ და იმდენად იყვეს **„აღმატებული ზნეობით, „რომ თავის პატივმოყვარეობას, სახელს, დიდებას“** მხოლოდ **„ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს“** (თხზ. კრებული 10 ტომად, V, 1955, გვ. 145; ხაზგასმა ჩემია, შ. ხ.).

ჩემს წერილებში, რომელთა დიდი უმრავლესობა უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზეა გამოქვეყნებული, ჩვენი ეროვნული მოძრაობის შეფასების ამოსავალ პრინციპს ერის ერთიანობა, მისდამი ერთგულება და ერთსულოვნება წარმოადგენდა: რამდენად იყო მოძრაობის მონაწილეთა გულები „გაღვივებული“ და, რაც მთავარია, რამდენად იყო მათი მოქმედება „ზნეობრივად ამაღლებული“ იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყო „ზეკარბი ინდივიდუალიზმისაგან“. „პერმანენტული ოპოზიციისაგან“ და ყოველგვარი ვნებებისაგან, რომლებიც მიმართულია მოძრაობის დაქსაქსვისა და, განსაკუთრებით, ამგვარი მისწრაფებების ექსტრემისტული გამოვლენებისაგან.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობის წარმატების, თუ წარუმატებლობის, გამარჯვების, თუ მარცხის უმთავრესი და ძირითადი მიზეზი ჩვენ, მოძრაობის ყოველი მონაწილე ვიქნებით და არ შეიძლება მისი წარუმატებლობა განსაკუთრებული ტრაგიზმით არ განიცდებოდეს.

ამიტომ არასოდეს არ ვყოფილვარ თავისუფალი ეჭვისაგან „ვაი, თუ...“ შეიძლება მკითხველს გაზვიადებად მოეჩვენოს, მაგრამ, როდესაც 1991 წელს იჭვის ქვეშ დადგა ჩვენი დამოუკიდებლობაც და დემოკრატიაც, ერთი წარმოდგენი დამეუფლა: ხომ არ დადგებოდა ისეთი დრო, რომ 9 მარტისა და 9 აპრილის ტრაგედიების ადგილზე **გოდების კედელი** ამოგვეყვანა, საგანგებო დღე დაგვეწესებინა და საყოველთაო ეროვნული გოდებით გამოგვეტირა ჩვენივე მიზეზით გამოწვეული მარცხის ტრაგედია!

წერილში „დეკემბერ-იანვრის ტრაგედია და ზოგიერთი დასკვნები“ (გაზ. „საქართველო“, 7. III. 92) ვწერდი: პარტიათა სიმრავლე თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეროვნული მთლიანობის იდეა ჯერ არ დაუფლებია ჩვენს ცნობიერებას ისეთი ძალით, რომ მეორეხარისხოვანი და პიროვნული დაჩრდილულიყო, არ წარმოქმნილიყო საფუძველი „პერმანენტული ოპოზიციისათვის“. ვწერდი აგრეთვე ქართველებისათვის ოდითვე ცნობილ ზეკარბ ინდივიდუალიზმზე, რომელიც ხშირად პოლიტიკურ რენეგატობამდე მიდიოდა და ერის გათიშულობის შემზარავ ფაქტებშიც ვლინდებოდა.

წინამდებარე წერილის მთავარი საკითხი მაინც ჩვენი მოძრაობის 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას ეხება, როდესაც დემოკრატიული პრინციპების მიხედვით იქნა არჩეული რესპუბლიკის მეთაურიც და პარლამენტიც. დასრულდა ერთი ეტაპი, დაიწყო პოლიტიკური სტაბილიზაცია და თუ მთლად არ განხორციელდა მოძრაობის მიზანი, მან ისეთ შედეგებს მაინც მიაღწია, რომ მათი უგულებელყოფა ძალიან დიდი მონდომების შემთხვევების პირობებშიც აღარ შეიძლება.

არჩევნები ჩატარდა დიდი სულიერი აღმავლობის და ისეთი ერთსულოვნების პირობებში, რომელიც შეიძლებოდა ვერც წარმოგვედგინა 48 პარტიის პირობებში. გამოვთქვამდით იმედს, რომ ამგვარი ერთსულოვნება „შემდგომშიც ერის ერთიანობის განმტკიცებისაკენ იქნებოდა მიმართული და პარლამენტის მუშაობაშიც გადამწყვეტ მნიშვნელობას მოიპოვებდა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7. XI. 92).

მაგრამ არ იყო გამორიცხული, რომ ექსტრემიზმის წარმომადგენლები თვით „ორთოდოქს“ დემოკრატებს შორის არ აღმოჩნდებოდნენ, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც მართვის დემოკრატიული ტრადიციები თითქმის არ არსებობს. უფრო მეტიც — აქ შეიძლება დემოკრატია ნიღბად ქცეულიყო თვით დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებისათვის. პარლამენტის წევრებმაც და ტელემაყურებლებმაც მოისმინეს პარლამენტის ერთ-ერთი წევრის „ენერგიული“ მოთხოვნა სახელმწიფოს პოლიტიკის შეცვლის შესახებაც და „იმ პირის“ შეცვლის შესახებაც, რომელიც ამ პოლიტიკას მართავს.

და აი, დგება საკითხი: შენელდა, თუ გაძლიერდა დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტის პირობებში ერის დაქსაქსულობისაკენ მიმართული ექსტრემისტული განწყობილებანი და რამდენად გამართლდა ქართველი ხალხის ერთსულოვნების განმტკიცების იმედი?

ზუსტი პასუხი კითხვაზე ძნელია, მაგრამ ერთი ცხადია: პარლამენტის არჩევნებმა ბევრის იმედები არ გაამართლა და განსაკუთრებით „ძნელი ასატანი“ ეს ფაქტი იმათთვის უნდა ყოფილიყო, ვინც სხვებზე მეტად იყო დარწმუნებული დიდ გამარჯვებაში თუ არა, სადეპუტატო ადგილების მაღალ პროცენტში. ბუნებრივია, არჩევნების შედეგები შეიძლებოდა ყოფილიყო ვნებათა ღელვის „დაცხრომის“ მიზეზიც და, პირიქით, უფრო მეტად „გააფთრებისაც“. ეს უკვე დამოკიდებული იქნებოდა პარტიის წევრებისა და მათი ბელადების პიროვნულ ხასიათსა და „ტემპერამენტზე“.

დემოკრატია ნიშნავს კანონის უზენაესობას, პრესისა და სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ როგორ გამოიყენებ დემოკრატიით მონიჭებულ უფლებებს და როგორ სახეს მიიღებს დემოკრატია ფაქტობრივად, — ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებობს.

* * *

ახალი, 1993 წელი „ცუდად“ დაიწყო: გამოქვეყნდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მეთაურის ირაკლი წერეთლის წერილი — „წინ უკომპრომისო ბრძოლის გზაა“ (გაზ. „ივერია-ექსპრესი“, 2 I. 93). მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის არჩევნებიდან მხოლოდ სამი თვე იყო გასული და მთავრობის ფორმირება ბოლომდე არ იყო დამთავრებული, ხელისუფლებას, როგორც იტყვიან, „სულიც არ ჰქონდა მოთქმული“, რომ გაისმა, ვთქვათ პირდაპირ, ექსტრემისტული „მოწოდებანი“ — „უკომპრომისო ბრძოლაზე“, მთავრობისა და რესპუბლიკის მეთაურის გადადგომაზე, რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტაზე. არსებულმა ხელისუფლებამ — ვკითხულობთ აქ — „ვერავითარი პრობლემა ვერ მოაგვარა“, „ვერაფრის გაკეთება... ვერ შესძლო“, ომი „სამარცხვინოდაა წაგებული“. 1992 წლის იანვარში ხელისუფლება კი შეიცვალა, მაგრამ არსებითად — „ქართველი ხალხი ვაის გაეყარა და უის შეეყარა“. ერთადერთ გამოსავალს ბ-ნი წერეთელი იმაში ხედავს, რომ „უნდა გადადგნენ“ სახელმწიფოს მეთაურიც და მთავრობაც.

20 იანვარს ხსენებული პარტიის შტაბბინაში ჩატარდა ოპოზიციურად განწყობილი პარტიების შეკრება, რომელიც რუსეთ-საქართველოს მომავალი ხელშეკრულების საკითხს მიეძღვნა და რომელსაც ირაკლი წერეთელი თავმჯდომარეობდა. როგორც ერთი კორესპონდენტი წერს — შეკრების მონაწილეთა „მიდგომა... თითქმის ერთგვაროვანი იყო — რუსეთთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე უარი უნდა ითქვას, სანამ „საოკუპაციო“ ჯარები საქართველოდან არ გავლენ“ („დრონი“, 22. I. 93).

საყურადღებოა, რომ მაინც აღმოჩნდა განსხვავებული (მწვანეთა პარტიიდან) აზრი: ეს ხელშეკრულება „საქართველოს შიგნით მდგომარეობის სტაბილიზებას მაინც შეუწყობს ხელს“ (იქვე).

გაურკვეველია ბ-ნ ნოდარ ნათაძის ორი, ჩვენის აზრით, შეუთავსებელი მოსაზრება: ერთის მხრივ — „შევარდნაძეს, ეტყობა, რაღაც შეეშალა“, როდესაც მხარი დაუჭირა „რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე რეფერენდუმის მოწყობას“, რადგან დღეს რეფერენდუმის მოწყობა „ნიშნავს დამშეულ ხალხზე ზეწოლას (?!)“, და, მეორეს მხრივ, ბ-ნი ნათაძეს „სასურველად მიაჩნია“ პარლამენტის არჩევნების ნაადრევად ჩატარება, რადგან „მოსახლეობა დღეს საქართველოში პოლიტიკურად მეტად სწრაფად ვითარდება და დღევანდელმა პარლამენტმა სულ მალე შეიძლება ვეღარ დააკმაყოფილოს მისი მზარდი მოთხოვნები“ („დრონი“, 22. I. 93).

მაგრამ ხომ არ დავდგებით, ამ მოსაზრებათა გაზიარების პირობებში, ისეთი საშიშროების წინაშე, რომ პარლამენტის არჩევნებიც „დამშეულ ხალხზე ზეწოლა“ იქნება, საქართველოში პოლიტიკური ვითარების სწრაფი ზრდა შემდეგშიც გაგრძელდება და ყოველ სამ თვეში ერთხელ არჩევნების ჩატარება გარდუვალ აუცილებლობად იქცევა?

ერთი სიტყვით, პოლიტიკური აზროვნების ტალღა ერთი, ჩვენის აზრით, ერის არა ერთიანობისა და ერთსულოვნების სასარგებლოდ აგორდა და გაზეთი „7 დღე“ სენსაციური გაფრთხილებით მოევლინა ქართველ მკითხველს: „აჩრდილი დადის საქართველოში, ისევ გადატრიალების აჩრდილი“! ყურადღებას იმსახურებს მისი ქვესათაურიც: „საფრთხობელა, რომლითაც ვისაც არ ეზარება, ყველა გვაშინებს“.

შემთხვევითი არაა და ამავე ტალღაში „თავსდება“ გიორგი ჭანტურიას ინტერვიუც იმავე გაზეთში და კამათიც, რომელიც დაიწყო ბ-ნ ჭანტურიასა და ბ-ნ კიტოვანს შორის თემაზე — როგორ შეფასდეს 1991-1992 წ. წ. დეკემბერ-იანვრის მოვლენები — როგორც სამხედრო გადატრიალება, თუ — სახალხო აჯანყება?

ინტერვიუმ, ვფიქრობ, უფრო გააბუნდოვანა გადატრიალების საკითხი, რადგანაც განცხადებები — „იმასაც ვიტყვი, რატომ გაიდო გადატრიალება“, ანდა — „ვიტყვი ყველაფერს, რაც ვიცი. ჯერ არ არის ამისი დრო“ — არანაირად არ აკმაყოფილებს ქართველი ხალხის ცნობისმოყვარეობას. ისევე, როგორც არაფერს ამბობს თვით გადატრიალებაზე ის ფაქტი, რომ აკაკი ასათიანისათვის შეუთავაზებიათ პრემიერის თანამდებობა და რომ „კიტოვანის პარალელურად იგი ჯონი ხეცურიანთან ერთად მოსკოვში იმყოფებოდა“ („7 დღე“).

რაც შეეხება დეკემბერ-იანვრის მოვლენათა შეფასებას, ეს საბაბია უფრო ღრმა წინააღმდეგობათა გაღვივებისათვის. ცხადია. რომ ამგვარი საკითხებისათვის დღეს არც საკმარისი დროა და არც საკმარისი საფუძველი.

ამჟამად სხვა, ბევრად უფრო აუცილებელი, საჭირბოროტო და ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია გადასაწყვეტი. ეს პრობლემები აუარებელია — დაწყებული ომით, უმძიმესი ეკონომიკური გაჭირვებით და დამთავრებული ზღვარდაუდებელი ბანდიტიზმით.

ძნელი დასაჯერებელია, რომ „საქართველოს პარლამენტში პრორუსული ძალები არიან მოსული, რომელთაც ნაკლებად აინტერესებთ საქართველოს სრული განთავისუფლება და საქართველოს საოკუპაციო ჯარების გაყვანა“, ანდა, რომ „არ არიან დაინტერესებულნი საქართველოში ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციაში მოყვანილი არმიის შექმნით“.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ხალხებთან ურთიერთობის ერთად-ერთი გზა, და არა მარტო გზა, არამედ პირობებიც, არსებობს მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის და ეს გზა უდიდეს ზნეობრივ ძალას სწორედ იმ შემთხვევებში იძენს, როდესაც მცირერიცხოვანი ერის ინტერესები უდიდესი, ხშირად ძალიან დიდი ძლიერების ქვეყნებს უპირისპირდება და როგორი რიტორიკული ხელოვნებითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი ჩვენი მომავალი სამხედრო ძლიერების სურათი, ის მაინც ვერ იქცევა საკმარის ძალად ჩვენს მოსაზღვრე ქვეყნებთან ძალისხმიერი დაპირისპირებისათვის.

ბ-ნი ირ. წერეთელი, ჩანს, მეტი დამაჯერებლობისათვის, თავის წერილში ემოციურ დატვირთვასაც მიმართავს: „გული მტკივა, როცა ვუყურებ ულამაზესი, წასული ბიჭების სახეებს, გენეტიკური ფონდი იშრიტება ქართველი ახალგაზრდობის უაზროდ განწირვის გამო“. გზა, რომელიც ჩვენმა ახლანდელმა ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზად აირჩია, ნაკარნახევია არა მხოლოდ დღევანდელი დღეების უშუალო შთაბეჭდილებებით, არამედ საუკუნოვანი ტრაგიკული ისტორიით და ძალიან მძიმე, უფრო მეტი „გულის ტკივილის“ აღმძვრელი გამოცდილებით.

* * *

პოლიტიკური მოვლენები საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს. ეს წერილი თითქმის დამთავრებული მქონდა, როდესაც ახალი გაზეთები შევიძინე და ერთმა მათგანმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ არ შემიძლია წერილს რამდენიმე სიტყვა არ დავუმატო. ერთ-ერთ გაზეთში დიდი სიხარულისა და კმაყოფილების გამომწვევ მოვლენად არის მიჩნეული ის პოლიტიკური ფაქტები, რომლებიც დღევანდელი ეროვნული მოძრაობის მთავარ საშიშროებას წარმოადგენს, სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს და ქართველი ხალხის დიდი ნაწილის მხრივ — კრიტიკას იმსახურებს.

გაზეთის პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაბეჭდილ სათაურს ვკითხულობთ: **ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი საქართველოს ცხოვრებაში**“! ქვესათაურში — „მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო“!

სტატიის ავტორი სვამს კითხვას — „მაინც, რა მოხდა?“ და თვითონვე იძლევა პასუხს: „გასულ კვირაში, 1993 წლის 20 და 23 იანვარს საქართველოს ოცდახუთამდე პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია, მათი წარმომადგენლების სახით, შეიკრიბნენ, რათა ოფიციალურად განეცხადებინათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი“.

ავტორი დიდი კმაყოფილებით ხვდება ამ „ახალ ეტაპს“, ვრცლად იმოწმებს შეკრებაზე გამოსული ორატორების სიტყვებს და იმ მიზნით, რომ ავტორის საკუთარი მოტივები მკითხველს თვალში არ ეცეს. წინასწარვე ცდილობს მკითხველი ობიექტურობაში დაარწმუნოს: „ჩვენ გადავწყვიტეთ, საქართველოს ხალხს, ჩვენს მკითხველებს, მივაწოდოთ არა ჩვენი რედაქციის აზრი ამის შესახებ, არამედ შეძლებისდაგვარად, ადგილი დავუთმოთ ამ პარტიების წარმომადგენლებს“.

ეს გაზეთია კარგად ცნობილი „იბერია-სპექტრი“ და მის ფურცლებზე გამოთქმული „შეხედულებანი“ „ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე“ — თავისთავად მეტყველებს ამ „ეტაპის“ მნიშვნელობაზე ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის თაობაზე მკითხველი თავის დასკვნებს გააკეთებს. მე კი ვფიქრობ, ეს არ უქმნის „ახალი ეტაპის“ წამომწყებთ მაღალ იმიჯს და, უფრო მეტიც, არა მგონია, ხელსაყრელი და სახარბიელო იყოს მათი შემდგომი პოლიტიკური წარმატებისათვის. მაგრამ ამაზე იფიქროს მკითხველმა და იმათ, ვისაც ამ გაზეთის რედაქცია ასეთი ხალისით „შეეკრა“. ამაზე დაფიქრებაც ღირს და დასკვნების გამოტანაც!

ეს ფონდი განსაკუთრებულია

მზია ბელენავა

—თბილისში დღევანდელი ომი არც იგრძნობაო, — გვესმის ხშირად. ამის მთქმელი, ნათქვამს, ალბათ, უკან წაიღებდა, იმ დღეს ცეკავშირის შენობაში გამართულ შეხვედრას რომ დასწრებოდა.

დარბაზი სავსე იყო თბილისელი შავოსანი ქალებით — ქვრივებით, დედებით, რომლებსაც ომმა უკურნებელი დარდი დაუტოვა. სავსე იყო დარბაზი პატარა გოგო-ბიჭებით — ომში დაღუპულთა დაობლებული ბავშვებით.

შეხვედრა ერის საწუხარით დაიწყო. ერის უპირველესი საწუხარი კი დღეს ომია. ომი, რომელიც გვავალებს პასუხისმგებლობის გრძნობას წინაპრების, თანამედროვეობისა და მომავლის წინაშე.

სწორედ ამ პასუხისმგებლობის გრძნობამ უკარნახა ავღანელთა კავშირის წევრებს ეფიქრათ ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდის დაარსებაზე.

კიდევ ფონდიო? —იკითხავს მავანი, — ლამის წაგვლეკოს ამ ფონდებმაო.

მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ დაღუპულ ჯარისკაცთა მცირეწლოვანი შვილები, მათი ქვრივები, მშობლები თურმე მართლაც უპატრონოდ არიან. ბავშვები არ ღებულობენ პენსიას, არავითარი შეღავათები, დახმარება... ჩვენი დაღუპული ბიჭების სიებიც არ არსებობს თურმე.

— ეს პრობლემა გადადებას არ ექვემდებარება, — აღნიშნა თავის სიტყვაში ავღანელთა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ გიორგაძემ, — რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადაწყდეს. ყველაფერი უნდა ჩამოყალიბდეს უახლოესი სამუშაო გეგმის სახით.

სამშობლომ პატივი უნდა მიაგოს დაღუპულთა ხსოვნას, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მათი ოჯახებისადმი ქმედითი დახმარებით გამოიხატება.

ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდის წევრად ჩაითვლებიან ყველა ისინი, ვინც სამშობლოსათვის დაეცნენ სამაჩაბლოში, აფხაზეთში, ასევე, გასული წლის დეკემბერ-იანვრის ომში (აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ ბარიკადების რომელ მხარეზე იდგა ესა თუ ის პიროვნება, რადგანაც ორივე მხარე თავისი გაგებით საქართველოსთვის იბრძოდა).

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ზინაიდა კვაჭაძე, ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ჯანიაშვილი, მსახიობი დოდო ჭიჭინაძე, მომღერალი თემურ წიკლაური, ექიმი მერაბ ნებიერიძე, ომში დაღუპულების ნუგზარ მიხანაშვილის, ვიტალი სუგორიანის, ბაჩუკი ონიანის, გურამ ნიკარაძის, გელა გოგიშვილის და სხვათა მეუღლეები, დედები, მამები, დები...

შეხვედრას ესწრებოდნენ სოხუმიდან ჩამოსული ჯარისკაცები.

ფონდის ორგანიზაციულ მხარეს გაუძღვება ნუგზარ მიხანაშვილის მეუღლე, მაია ბუჩუკური-მიხანაშვილი. აირჩიეს ფონდის გამგეობა, რომელიც დაკომპლექტდა მხოლოდ და მხოლოდ ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებით.

მაშ, ასე — შეიქმნა ახალი ფონდი — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პატივსაცემი დღემდე არსებულ ფონდებს შორის.

ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებს ვთხოვთ აღრიცხვაზე ასაყვანად მიაკითხონ ფონდის გამგეობას. მისამართი: გერგეტის გასასვლელი № 8 (მთაწმინდის ყოფილი კომისარიატის შენობაში).

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოსამზადებელი კომისიის სხდომა

თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული მეჯლისის წინადადებით გუშინ სტამბოლში დაიწყო შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა საპარლამენტო ასამბლეის მოსამზადებელი კომისიის შეკრება. იგი განიხილავს ამ ასამბლეის შექმნის საპროცედურო წესების პროექტის დასკვნით ტექსტს, რომელსაც შეთანხმებისამებრ 24-28 თებერვალს ხელი უნდა მოაწერონ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილე 11 ქვეყნის პარლამენტთა თავმჯდომარეებმა. ამ კომისიაში მუშაობის მონაწილეობისათვის სტამბოლს გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის მეთაურობით.

დაინიშნა დროებით

სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ხელმძღვანელობის მოვალეობა დროებით დააკისრა სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, ეკონომიკის მინისტრს 35 წლის გრანტ ბაგრატიანს. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ რესპუბლიკის ხელმძღვანელის ბრძანებულებაში. ამავე დროს კაბინეტის წევრებს დაევალათ განაგრძონ თავიანთი ფუნქციების შესრულება მთავრობის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბებამდე.

სომხეთის მთავრობის მეთაურის პოსტი ვაკანტური დარჩა ხოსროვ არუთიუნიანის გადაყენების შემდეგ, რომელსაც ეს პოსტი გასული წლის ივლისიდან ეკავა.

გაიმართა უკრაინა-რუმინეთის კონსულტაციები

4 თებერვალს ოდესაში გაიმართა უკრაინა-რუმინეთის კონსულტაციები იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური სანქციების განხორციელების საკითხზე. დელეგაციათა შემადგენლობაში შედიან ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა ტრანსპორტის სამინისტროების, სასაზღვრო ჯარების, საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალი დირექტორი

ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა განხილვისა და ხმების დაანგარიშების გარეშე მოიწონა ჯეიმს ვულსის დანიშვნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად.

51 წლის ვულსის, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მე-16 ხელმძღვანელი გახდება მთელი მისი არსებობის ისტორიაში, აქვს სამხედრო და განიარაღების დარგებში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობის დიდი გამოცდილება.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალმა დირექტორმა გამოთქვა დაპირება შეისწავლოს ამერიკის დაზვერვის საქმიანობისათვის გაწეული ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, რასაც მხარს უჭერენ მთელი რიგი კანონმდებლები. ხარჯების ზუსტი ციფრი დასაიდუმლოებულია. ამერიკის პრესის მონაცემებით, ეს წლიურად დაახლოებით 30 მილიარდ დოლარს შეადგენს. მაგრამ მიმდინარე საფინანსო წელს კონგრესმა ეს ასიგნებანი 1,6 მილიარდი დოლარით შეამცირა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სახელმწიფო დროშაზე შავი ფერის გამო

ჰენრი კუპრაშვილი

მსოფლიოში არსებულ მრავალრიცხოვან, მრავალფეროვანსა და მრავალსახოვან დროშებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ შეფერილობით, მათზე მოთავსებული ნახატით, სიმბოლოთი, სხვადასხვა გამოსახულებით. თითოეულ ფერს, თითოეულ გამოსახულებას აქვს თავისი მნიშვნელობა და თავისი ისტორია. ისინი ასახავს ქვეყნისა და ხალხის წარსულს ან აწმყოს ან მომავლისაკენ სწრაფვას, ან სამივეს ერთად. სახელმწიფო დროშების გარკვეული ჯგუფები გამოირჩევა მსგავსი შეფერილობით ან გამოსახულებით. მაგ., არის ჯგუფი ჯვრის გამოსახულებიანი დროშებისა (შვეიცარია, საბერძნეთი, მალტა, დიდი ბრიტანეთი და ა. შ.), მათ შორის კიდევ გამოიყოფა სკანდინავიის ქვეყნების ქვეჯგუფი (შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, დანია). ცალკე ჯგუფს ქმნის ნახევარმთვარის გამოსახულებიანი დროშები (თურქეთი, აზერბაიჯანი, ალჟირი, ტუნისი, მავრიტანია, პაკისტანი, მალაიზია, სინგაპური, მალდივის კუნძულები და ა. შ.). თავისებურ ფერთა სიახლოვეს ამჟღავნებს. ავსტრიის, პოლონეთის, ბელორუსიის, ლატვიის დროშები. ფერთა მსგავსებით გამოირჩევა არაბული ქვეყნების დროშები. აქ ხშირ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს ხალხებისა და ქვეყნების საერთო ისტორიული ბედი, კულტურის ნათესაობა და სხვა ფაქტორები. არის გამონაკლისები, მაგ., ინდონეზიის დროშა მონაკოს დროშის იდენტურია, ხოლო სინგაპურის დროშა მათგან განსხვავდება მხოლოდ მასზე დატანილი მუსულმანური სიმბოლოთი.

თუ რამდენად სერიოზულად უდგებიან სახელმწიფო დროშის საკითხს, კარგად ჩანს კანადისა და ავსტრალიის მაგალითზე. კანადის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე ხანგრძლივი საპარლამენტო დებატები გაიმართა ახალი სახელმწიფო დროშის შესახებ კანონპროექტის განხილვისას 1964 წელს. კამათი ოცდაცამეტი დღე გრძელდებოდა. სპეციალურმა კომისიამ ხუთი ათასი ესკიზი განიხილა. ხოლო, ავსტრალიაში 1901 წელს სახელმწიფო დროშის შესახებ გამოცხადებულ ეროვნულ კონკურსზე განხილულ იქნა ოცდაათი ათასი წინადადება (სხვათა შორის გაიმარჯვა 13 წლის მოსწავლის აივორ ივანსის პროექტმა).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამფეროვან დროშაზე ფერთა შეხამება და ფერთა განლაგება საკამათოდ იქცა. ბევრისათვის მიუღებელია ამ დროშაზე შავი ფერის არსებობა და განსაკუთრებით კი მის ზედა ზოლში. ცნობილია, რომ ქართველი შავ ფერს აღიქვამს, როგორც სიბნელის, ქვესკნელის, გლოვის, სევდისა და მწუხარების სიმბოლოს. ამიტომაცაა, რომ უჭირს ამ ფაქტს ბოლომდე შეგუება. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს დროშა წმინდა ქართული ტრადიციიდან და ქართული ბუნებიდან იყოს აღმოცენებული (მიუხედავად იმისა, რომ იგი ექვთ. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის კონსულტაციით შექმნა ი. ნიკოლაძემ). მკვლევარებსაც ვერ მოაქვთ მთლად დამაჯერებელი არგუმენტები იმის დამადასტურებლად, რომ საქართველოს ერთიან სამეფოს ან ცალკეულ სამეფო-სამთავროებს ქონდათ შავი დროშა ან რომელიმე ქართულ დროშაზე იყო გამოყენებული შავი ფერი შინდისფერთან (წითელთან) და თეთრ ფერთან რაიმე კომბინაციაში. ხოლო, რაც შეეხება მე-14 საუკუნის კატალონიელი ბერის ატლასში მოთავსებული „კოლკოს-გორინჩის“ ქვეყნის დროშას, დასაზუსტებელია იყო თუ არა იგი დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო დროშა.

მაშ საიდან გაჩნდა შავი ფერი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაზე? ჩემის აზრით, ამ ფაქტს მხოლოდ პოლიტიკური სარჩული უნდა დადებოდა საფუძვლად. რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბევრმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და, შესაბამისად, ქართულმა დიპლომატიამ პოლიტიკური ორიენტაცია გერმანიაზე აიღო. მართლაც, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში გერმანიამ გარკვეული როლი შეასრულა. იმ პერიოდში, უფრო ზუსტად 1867-1919 წლებში გერმანიის სამფეროვან დროშას ამშვენებდა შავი, თეთრი და წითელი ფერებისაგან (ფერების ათვლა ზემოდან ქვემოთ) შემდგარი სამი თანაბარი ჰორიზონტალური ზოლი. აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე შეფერილობის დროშა დღეს აფრიკის კონტინენტზე ზემო ვოლტის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაა). სწორედ ამ დროშის ანუ კაიზერული გერმანიის დროშის ანარეკლი უნდა იყოს ჩვენი დროშა, რომლის შემდგენლებმაც პოლიტიკური მოტივით ორიენტირად აიღეს იგი. სწორედ ამ დროშას გაუწიეს ანგარიში და ქართული ტრადიციებიც მას მოარგეს. (ასეთი მაგალითები უამრავია სახელმწიფო დროშების ისტორიაში). სხვანაირად! წარმოუდგენელია, რომ ქართველ კაცს შავი ფერის ზოლი (ქვესკნელი, სიბნელე, გლოვა, სევდა და მწუხარება) მოეთავსებინა ეროვნული დროშის ზედა ნაწილში. ჩვენს დროშაზე გარკვევით მხოლოდ შინდისფერის სიჭარბის ფაქტორია გასაგები, რომელიც აიხსნება სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მძლავრობით იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. (სხვათა შორის, როდესაც რუსეთის იმპერატორმა, გერმანოფილმა ალექსანდრე II რუსეთის თეთრ-ლურჯ-წითელზოლებიანი (ფერების ათვლა ზემოდან ქვემოთ) დროშა 1858 წელს შეცვალა შავ-ყვითელ-თეთრზოლებიანი დროშით, რუსეთის საზოგადოებრიობა ვერაფრით ვერ შეეგუა დროშაზე შავი ფერის ზედა ზოლს და 1883 წელს ისევ ძველი დროშა აღადგინეს, (1858 წელს გერმანული კავშირის დროშა წარმოადგენდა შავ-წითელ-ყვითელზოლებიან ტილოს).

წერილი რედაქციას

საინტერესოა, რომ ამჟამად წითელი, თეთრი და შავი ფერები, ხშირად მწვანე ფერთან კომბინაციაში ძირითადად ითვლება არაბული ქვეყნების დროშების ფერებად (ამ სამი ფერის კომბინაციის თვალსაზრისით ევროპაში გერმანია გამონაკლისი იყო). პირველად არაბეთში ეს ფერები ერთად შეკრებილი გამოჩნდა დღევანდელი საუდის არაბეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჰიჯაზის სამეფოს სახელმწიფო დროშაზე მე-19 საუკუნეში, სწორედ მან დაუდო სათავე დანარჩენი არაბული ქვეყნების დროშებს (ერაყი, იემენი, ლიბია, სირია, სუდანი, ეგვიპტე, არაბთა გაერთიანებული საემიროები, იორდანია და ა. შ.).

არაბულ ფერთა გამის ახსნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მათ შორის შავი ფერი აღნიშნავს: პირველი ვარიანტით — არაბთა დიდებულ წარსულს და დაღუპულ ეროვნულ გმირებს; მეორეთი — არაბების მტრებზე გამარჯვებას; მესამეთი — სასიხარულო აწმყოს და ბედნიერ მომავალს; მეოთხეთი — ჰაშიმიდების დინასტიურ ფერს. გარდა ამისა, დროშაზე დატანილი შავი ფერი ბელხიაში აღინიშნება როგორც ძალა, ავღანეთში — კოლონიზატორთა ბატონობის შავბნელი წლები, იამაიკაში — ხალხის სიმტკიცე, გაიანაში — ხალხის გამძლეობა, ანტიგუაში — მიწა და ძირითადი მოსახლეობის აფრიკული წარმოშობა, ტრინიდადი და ტობაგოში — ქვეყნის ხალხი, მისი ძალა და ერთობა, მიწის ნაყოფიერება, სენტ-ლუსიში — ვულკანი პიტონსი. ხოლო აფრიკის ქვეყნების დროშებზე დატანილი შავი ფერი ძირითადად სიმბოლოა აფრიკის თავისუფლების მოყვარე ხალხებისა. რაც შეეხება ზემო ვოლტის რესპუბლიკას, დროშის სამფეროვანი ზოლები, რომელთა განლაგება ჩვენს დროშასთან ამჟღავნებს სიახლოვეს, ამ ქვეყნის მდინარეების შავი ვოლტის, თეთრი ვოლტის და წითელი ვოლტის სიმბოლოებია.

ზემოთ განხილული დროშების გარდა დღეისათვის დროშებზე შავი ფერი სხვადასხვა ფერებთან კომბინაციაში აქვთ შემდეგ სახელმწიფოებს: ესტონეთს — ცისფერთან და თეთრთან, ალბანეთს — მუქ-წითელთან, ანგოლას — წითელთან, ბაჰამის კუნძულებს — ცისფერთან და ყვითელთან, ბოტსვანას — თეთრთან და ცისფერთან, ზიმბაბვეს — მწვანესთან, ყვითელთან, წითელთან და თეთრთან, მოზამბიკს — ყვითელთან, თეთრთან, მწვანესთან და წითელთან, მალავის — წითელთან და მწვანესთან, სამხრეთ კორეას — თეთრთან, წითელთან და ლურჯთან, ტანზანიას — მწვანესთან, ყვითელთან და ცისფერთან, უგანდას — ყვითელთან, წითელთან და თეთრთან.

საკუთრივ შინდისფერი (მუქი წითელი) შავსა და თეთრ ფერებთან კომბინაციაში სახელმწიფო დროშაზე აქვთ პაპუა-ახალ გვინეას, ჰაიტის, კენიას, ტრინიდადი და ტობაგოს.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს სამფეროვან დროშას, რომლის შეცვლის შესახებ ხშირად გაისმის ხმები. ყველას თავისი აზრი აქვს და არც ვაპირებ ვინმეს შევაცვლევინო იგი. მაგრამ მინდა ერთი რამ იყოს ცხადი: მოგვწონს თუ არ მოგვწონს საქართველოს სახელმწიფო დროშა, მისი ყოფნა-არყოფნის ბედი არ შეიძლება გადაწყდეს პიროვნულად, ვიწრო წრეში ან თუნდაც პარლამენტში. შეცვლის საკითხი თუ დადგება, ეს მხოლოდ საერთო სახალხო რეფერენდუმმა შეიძლება გადაწყვიტოს. ამის შემდეგ შეიძლება კონკურსის გამოცხადება და მერე მისი შედეგების პარლამენტზე გატანა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, რომ შეიძლება ეს დროშა არ იყოს წარმოშობილი უშუალოდ ქართული ტრადიციიდან, მაგრამ თვითონ არის უკვე ტრადიცია, ტრადიციის საფუძვლის ჩამყრელი და იგი ჩვენს ისტორიაში უკვე სამარადისოდ ჩაიბეჭდა. ეს დროშა იყო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა, ეს დროშა არის ჩვენი დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო დროშა. ამ დროშით ხელში საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა მრავალი ქართველი პატრიოტი 1921 წელსაც, 1924 წელსაც, 1989 წელსაც და დღესაც ეწირებიან. იგი საქართველოს დამოუკიდებლობასთან, თავისუფლებისათვის ბრძოლის ტკივილებთან თუ სიხარულთან ასოცირდება და ამიტომაც იგი ჩვენთვის გახდა ძვირფასი და მშობლიური, ბევრისათვის ძნელად დასათმობი.

საარქივო დოკუმენტებს შემოუნახავთ

გურამ შენგელია

საქართველოს ისტორია ერის გადარჩენისთვის მრავალრიცხოვან მტრებთან გმირული ბრძოლის ისტორიაა. ქართველი ხალხი არასოდეს შეგუებია მოძალადეთა ბატონობას და შეუპოვრად იბრძოდა მონობის უღლის დასამხობად. ერის სახელოვანი მამულიშვილების ხელმძღვანელობით ქართველობა მუსრს ავლებდა დამპყრობთა საოკუპაციო ჯარებს და ათავისუფლებდა ქართულ მიწაწყალს.

ქართველი ხალხი მოწინავე ინტელიგენციის მეთაურობით მედგრად ებრძოდა რუსეთის საოკუპაციო ჯარებსაც. ჩვენს არქივთსაცავებში რუსეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის საყურადღებო დოკუმენტებია დაცული. ეს დოკუმენტები საინტერესოდ მოგვითხრობენ ჩვენი დემოკრატიული ინტელიგენციის დაუცხრომელ საქმიანობაზე რუსული საოკუპაციო ჯარების თვითნებობის ასალაგმავად. ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ საპროტესტო ხმა აღიმაღლა ხელისუფლების მიერ შიდა ქართლიდან ტირიფონის ველიდან ქართველ გლეხთა აყრასთან დაკავშირებით. როგორც ჩვენს მიერ გამოვლენილი საარქივო საბუთიდან ვიგებთ, მთავრობას განზრახული ჰქონდა ტირიფონის ველის ნაყოფიერი სავარგულების „შემოღობვა“ სამხედრო პოლიგონის მოსაწყობად. სამხედრო მიზნით ტირიფონის ნაყოფიერი ველის გამოყენების წინააღმდეგ ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მიერ გაჩაღებულმა კამპანიამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ამ ფაქტთან დაკავშირებით, როგორც დოკუმენტი გვამცნობს, დაიბეჭდა ცნობები საზღვარგარეთულ პრესაში.

1914 წლის 18 მაისს იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებდა თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს, რომ ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტეში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით — „საქართველო შევიწროვებულია ცარიზმის მიერ“. წერილი ეხება რუსეთის მთავრობის მიერ ქართული მიწების გამიჯვნას საარტილერიო პოლიგონის მოსაწყობად. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ლუმანიტეს“ 1914 წლის 16 მაისის ნომერში.

საიმპერიო შინაგან საქმეთა სამინისტროს შეტყობინებაში გადმოცემულია ამ სტატიის მოკლე შინაარსი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქართველ გლეხებს ყრიან თავიანთი საცხოვრებლებიდან, მათ სავარგულებს აქცევენ გამაგრებულ ბანაკებად. წერილში ყურადღება გამახვილებულია ქართველ დემოკრატიულ ინტელიგენციაზეც. მასში აღნიშნულია, რომ ამ პატარა აგრარული ქვეყნიდან, რომელიც ძლიერაა გაჟღენთილი სოციალ-რევოლუციური პროპაგანდით, გამოვლინდნენ გასაოცარი მებრძოლები: წერეთელი, ჯაფარიძე, გეგეჭკორი, ჩხენკელი, ჩხეიძე და სხვები. წერილში ნათქვამია, რომ გორთან ახლოს ტირიფონის ველზე რუსეთის მთავრობამ სტრატეგიული საჭიროებების საბაბით გადაწყვიტა ამ ველის სოფლების გლეხების აყრა და იქ გამაგრებული ბანაკებისა და საარტილერიო პოლიგონების გამართვა. დაუშვებს კია ევროპა ამ დანაშაულის ჩადენას — ვკითხულობთ წერილში. ვაი რომ, კაპიტალისტურ ევროპაზე ბატონობს უხეში იმპერიალიზმი, რომელიც დაინტერესებულია რუსეთის და განსაკუთრებით კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ძარცვით. მაგრამ საერთაშორისო სოციალისტური ევროპა ალბათ ხმას აიმაღლებს. ვენის კონგრესზე ქართველი სოციალისტები უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ იგრძნობენ მხარდაჭერას მათ ჩივილზე. წერილის ავტორია ე. რუბანოვიჩი (საქ. ცსსა, ფონ. 94, აღწ. I. საქ. 695, ფ. 148-150).

წარსულიდან

ემიგრაციაში მყოფმა ჩვენმა ინტელიგენციამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მიეპყრო ევროპის ქვეყნების ყურადღება საქართველოში სამხედრო მიზნით მიწების „შემოღობვის“ თაობაზე. როგორც პროფესორი ალექსანდრე მუჯირი წერს, — ინგლისის მშვიდობის დაცვის საზოგადოებამ ვარლამ ჩერქეზიშვილის ძალისხმევით ქ. ლივერპულში 1914 წლის 14 ივლისს შემდგარ კონგრესზე გააკეთა განცხადება საქართველოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამი იყო: „კონგრესი პროტესტს აცხადებს იმ განკარგულების წინააღმდეგ, რომლის ძალითაც საქართველოს შუაგულიდან, ტირიფონის ველიდან, უნდა აჰყარონ ათასობით ქართველი გლეხი და გაატიალონ მათი ბაღ-ვენახები, რომ შემდეგ ზედ გამართონ 1000 ჯარისკაცისთვის სამხედრო სავარჯიშო ბანაკი (პოლიგონი), და არც კი კითხულობენ, თუ რა ზარალი უნდა მიაყენონ ამით მთელს მხარეს,* ან რამდენად არღვევენ ამით საქართველოს და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას. კონგრესი იმედოვნებს, რომ რუსის მთავრობა ხელს აიღებს თავის განზრახვაზე“. (გაზ. „თბილისი“, 20 იანვარი, 1992 წ.).

ჩვენს მიერ გამოვლენილი და შემოთავაზებული საარქივო დოკუმენტი, ნაწყვეტი პროფ. ალ. მუჯირის ხსენებული წერილიდან გვაძლევს სრულ უფლებას დავასკვნათ, რომ ქართველი ხალხი, მისი მოწინავე ინტელიგენცია, რომლის საერთაშორისო რეიტინგი საკმაოდ მაღალი იყო, უკომპრომისოდ ებრძოდა ხელისუფლებას, რომელიც ცდილობდა გამაგრებული ბანაკებისა და პოლიგონების მოწყობის მიზნით ქართული მიწების „შემოღობვას“. ვფიქრობთ, ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია, რადგანაც სამწუხაროდ, რუსეთის იურისდიქციაში მყოფი შეიარაღებული ძალები არცთუ იშვიათად უხეშად არღვევენ სუვერენულ სახელმწიფოში ყოფნის ელემენტარულ წესებს, რითაც გარკვეულწილად ხდებიან უშუალო მონაწილენი დესტაბილიზაციის პროცესებისა.

შთამომავლობამ უნდა იცოდეს

გივი გოშაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რაც უნდა ახლოს ვიცნობდეთ ადამიანს, სანამ ცოცხალია, მისი სრულყოფილად შეცნობა მაინც არ ხერხდება. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი სამშობლოსათვის თავგანწირული გმირის, ქართველი ვაჟკაცის თემურ გაბუნიას გამწარებული დედის სიტყვები: „თურმე რამხელა გული გქონია, შვილო“.

ადამიანი გმირად არ იბადება. იგი მერე ყალიბდება მეომრად, ინტელიგენტად, შემოქმედად. თემურში ეს ყველაფერი ერთად იყო შერწყმული, კიდევ ერთი უპირატესობით — საქართველო უყვარდა სიცოცხლეზე მეტად, საჭიროებისთანავე დადგა მის სადარაჯოზე და აკი თავიც შესწირა.

თემურ გაბუნიას შემოქმედებით სფეროს მოიცავს სულხან-საბა ორბელიანის მემორიალი საქართველოს სამხედრო გზაზე, სახელოსნოების საგამოფენო დარბაზი ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, სპორტული დარბაზი „მზიურში“, მოდების სალონი „ირიდა“, უპოვარ ბავშვთა სოფელი ქ. თბილისში, მრავალი ნაშრომი მისი თანაავტორობით, ესკიზები კინოფილმისათვის „მიზერერე“, რომელსაც ზაზა ხალვაში იღებს, და კიდევ — ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ჩანაფიქრი.

თემურ ჯუმბერის ძე გაბუნია (დაიბადა 1956 წელს ქ. თბილისში). საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ზამთარში ჩაება დასავლეთ საქართველოში შექმნილ არეულობასთან დაკავშირებით. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების დღიდანვე თიო (ასე ეძახდნენ მას მეგობრები) ჯერ გაგრასთან იბრძოდა, შემდეგ კი ოჩამჩირის რაიონში. გაგრის დატოვებამდე „მხედრიონის“ ასმეთაურის ვაჟა ქრისტესიაშვილის მოადგილე იყო. მძიმედ დაჭრილი ასმეთაური, მან თბილისში ჩამოიყვანა და თვითონ კვლავ საომრად წავიდა. იგი ოჩამჩირეში სწრაფი რეაგირების დანაყოფის ასმეთაური გახლდათ. ოჩამჩირეში გამგზავრების წინ შევხვდი და ვესაუბრე.

ომს მისთვის დაღი დაესვა, ზედმეტად სერიოზული მეჩვენა, მის ნათელ ღიმილს ბავშვური სიხალისე დაკლებოდა. შევეკითხე, თუ რომელი შენაერთის წევრი იყო.

— „მე გვარდიის წევრიცა ვარ და საერთოდ ვიბრძოლებ, სადაც საჭირო ვიქნები“.

არასოდეს დამავიწყდება დედის თხოვნაზე — საომრად მეტს ნუღარ წახვალ, შვილო, მისი პასუხი: „ყველა დედა რომ შენსავით ფიქრობდეს, მაშინ გადავცეთ, ჩვენი ხელით ჩავაბაროთ საქართველო“.

ოჩამჩირეში ჩასვლისთანავე თავისი ასეულით შეუტია მომხვდურთ. ბრძოლა მისი შენაერთის სასარგებლოდ წარიმართა. წინა დღით მოწინააღმდეგის ოთხი სნაიპერი აიყვანეს ტყვედ. მამაც და გონიერ მეომარზე — თემურზე — განსაკუთრებული „ნადირობა“ იყო გამართული. ეს მან კარგად იცოდა. მიუხედავად ამისა, მეტად საჭირო საქმისათვის მეომართა მცირე ჯგუფით სოფელ ქეთევანისკენ წავიდა. უკან დაბრუნებისას ჩასაფრებული დახვდა მტერი. მტრის ნაღმსატყორცნმა მანქანა მწყობრიდან გამოიყვანა, მძღოლი კი მოკლეს. თემური სწრაფად გადმოხტა მანქანიდან სიტყვებით — გაყიდული ვართ ბიჭებო, და ჩასაფრებულთ დაუზოგავად დაუწყო სროლა. მალე ავტომატის ჯერით ფეხები მთლიად დაუჩეჩქვეს, მაინც ისროდა, ხელშიც დაჭრეს, მისი ცოცხლად აყვანა უნდოდათ. წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო, იცოდა მტრის ჩანაფიქრი — ოთხ სნაიპერში უნდოდათ მისი გაცვლა. ამად არ ვღირვარ, მესროლე, ბიჭო, ჩემს თავს მაგათ ნუ გაატანო — გასძახა თანამებრძოლს, მან კი ვერ გაიმეტა, ვაჟკაცმა თოფი დაბლა დახარა, მიუხვდა თემო კობა გაფრინდაშვილის გასაჭირს, ხელყუმბარას გადაეფარა, რომ ორ მეტრში მდგომი თანამებრძოლები არ დაეზიანებინა და თავი აიფეთქა. მისი აფეთქებისთანავე მოწინააღმდეგე გაიქცა. თემურმა იცოდა, რომ ამ მოქმედებით სხვებსაც გადაარჩენდა. მან თავდადების დიდებული მაგალითი მისცა თანამებრძოლებს. ამიტომაც იყო, რომ მათ გულწრფელი და ალალი ცრემლებით დაიტირეს სამშობლოს ქეთილდღეობისათვის თავდადებული ორი ვაჟკაცის მამა და არა მარტო მათ, მისმა უამრავმა ახლობელმა, დიდმა და პატარამ, მეგობრების უზარმაზარმა წრემ.

გმირი ვაჟკაცის დედავ, ნუ სტირი. შენმა აღზრდილმა საყვარელ მიწას მტლად დაადო თავისი ლამაზი სხეული, მისი სული კი მარად ენთება ქვეყნის მომავლის ჩირაღდნად.

აფხაზეთის მოვლენებს თავისი გმირები ჰყავს, რომელთა შესახებ შთამომავლობამ უნდა იცოდეს. მათი წვლილი დაფასებული უნდა იქნას მთავრობის მიერ და მათი სახელი შემონახული მომავალი თაობებისათვის, თუნდაც იმით, რომ იმ პატარა ქუჩას, სადაც დაიბადა და გაიზარდა თემურ გაბუნია და რომელსაც თბილისში ქობულეთის ქუჩა ჰქვია, მისი სახელი ეწოდოს, თვითონ თემურს კი სიკვდილის შემდეგ მიენიჭოს მთავრობის ჯილდო.

გმირნო, მამულის მადიდნო!

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

დამაიმედებელი ნაბიჯები

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა, სამეგრელოს რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა შალვა კეკელიამ და იმერეთის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა ჯონი ქარჩავამ ჩხოროწყუს რაიონში ჩაიტანეს ცნობილი მიზეზების გამო 6 თვეზე მეტი ხნის მანძილზე მოსამსახურეებისა და პენსიონერებისათვის დაურიგებელი ხელფასებისა და პენსიების პირველი პარტია 28 მილიონი მანეთის ოდენობით.

* * *

იმავე დღეს ბატონი შალვა კეკელია და ჯონი ქარჩავა შეხვდნენ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელს ვახტანგ (ლოთი) ქობალიას.

შეხვედრაზე დაისახა სამეგრელოს რეგიონში არსებული შეიარაღებული დაპირისპირების აღსაკვეთად გასატარებელი ღონისძიებანი. აღინიშნა ისიც, რომ ქმედით და გადამჭრელ ზომებს მოითხოვს შერიგების პრაქტიკული განხორციელება.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

რეგიონულ თათბირზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ჩხოროწყუს რაიონში შეტანილი თანხის დაცვასა და დარიგების უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ აქ არსებული შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები პოლიციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ასევე პოლიციასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე სენაკის რაიონში რკინიგზასა და ხიდებს დაიცავენ ვახტანგ ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი ე. წ. სენაკის № 2 ბატალიონის წევრები.

რევაზ გრიგოლავა.

ეს სპორტია!

უკანასკნელი დარიგება. სიმონ კილაძის ფოტო.

ბუდაპეშტსა და მონტე-კარლოში

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი.

შარშან, როგორც კი დამთავრდა „XX საუკუნის დიდი მატჩ-რევანში“ რობერტ ფიშერსა (აშშ) და ბორის სპასკის (საფრანგეთი) შორის, სპორტულ სამყაროში სწრაფად გახმიანდა ცნობა; რომ ამერიკელმა დიდოსტატმა მიიღო ახალგაზრდა დიდოსტატი ქალის, 16 წლის ივდით პოლგარის (უნგრეთი) გამოწვევა მატჩში. ეს იყო უდავოდ დიდი სენსაცია.

დღემდე ჭადრაკის ისტორიაში დიდოსტატ ქალისა და ვაჟის სამატჩო შეხვედრა მხოლოდ ორჯერ გაიმართა: 1942 წელს ლონდონში იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ვერა მენჩიკი შეხვდა გერმანელ დიდოსტატს, 77 წლის ჟაკ მიზესს (მოიგო მენჩიკმა — 7:3), ხოლო 1986 წელს ქ. ნოვი-სადში (იუგოსლავია) მაია ჩიბურდანიძე იუგოსლავიის ოლიმპიური გუნდის წევრს, 27 წლის დიდოსტატს, პეტარ პოპოვიჩს (მატჩის ანგარიშია 4:4). მაგრამ მესამე მატჩი ფიშერსა და ი. პოლგარს შორის ჩაიშალა ამერიკელი მოჭადრაკის მიზეზით.

თავიდან ფიშერი თანახმა იყო ეთამაშა 10 პარტია, მაგრამ მერე სიტყვა გატეხა: მოითხოვა თამაში 10 მოგებამდე ყაიმების ჩაუთვლელად. ეს პირობა მიუღებელი იყო ყმაწვილი დიდოსტატი ქალისთვის. იგი ვერ გაუძლებდა ისეთ ფიზიკურ დატვირთვას, როგორიც ამ ხანგრძლივ და დამქანცველ ორთაბრძოლას სჭირდება. მაგრამ მშვენიერ იდეას მხარი დაუჭირა დიდოსტატმა ბორის სპასკიმ.

31 იანვარს ივდით პოლგარის მშობლიურ ბუდაპეშტში სტარტი აიღო სპასკი-ი. პოლგარის მატჩმა. დიდოსტატები 10 პარტიას გაითამაშებენ. მათ კარგი ჯილდო დაუწესეს მატჩის მესვეურებმა. გამარჯვებული 120 ათას დოლარს მიიღებს, დამარცხებული — 80 ათას დოლარს.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ორთაბრძოლა საინტერესო იქნება. მართალია, დიდოსტატებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა (სპასკი 55 წლისაა, პოლგარი — 16), მაგრამ ორივე შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. სპასკიმ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ფიშერს შარშანდელ მატჩში, ძვირფასი გამოცდილება მიიღო, ივდით პოლგარმა კი ამას წინათ თავი ისახელა ჰასტინგსის (ინგლისი) ტრადიციულ საშობაო ტურნირში.

როგორც იცით, სამი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 1,5:1,5. პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა, მეორე პარტია, რომელშიც მოჭადრაკე გოგონა თეთრებით თამაშობდა, პოლგარმა მოიგო.

* * *

ამ დღეებში ქალაქ მონტე-კარლოში (მონაკო) სტარტს აიღებს ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ჟუჟა პოლგარსა და ქართველ დიდოსტატ ნანა იოსელიანს შორის.

ჟუჟა პოლგარი ივდითის უფროსი დაა. შარშან შანხაიში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირში 23 წლის ჟუჟამ პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ შეჯიბრების დებულებით მსოფლიო ჩემპიონ სე ცზიუნს (ჩინეთი) რომ შეეცილოს ტიტულში, იგი ჯერ უნდა შეხვდეს დამატებით მატჩში პრეტენდენტთა ტურნირში მეორე ადგილის მფლობელს. ეს კი ჩვენი დიდოსტატი ნანა იოსელიანი გახლავთ. შანხაის ტურნირში ნანამ მეორე-მესამე ადგილები გაიყო მაია ჩიბურდანიძესთან, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით მას უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა.

ჭადრაკი

ჟ. პოლგარ-ნ. იოსელიანის მატჩში 8 პარტია უნდა გათამაშდეს. გამარჯვებულად გამოცხადდება და მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებას მიიღებს ის, ვინც მეტ ქულას მოაგროვებს.

რა დასამალია, ბევრი ფიქრობს, რომ იოსელიანს გაუჭირდება პრეტენდენტობის მოპოვება. არგუმენტად ისიც მოაქვთ, რომ შანხაიში ნანამ ჟუჟასთან ერთი პარტია წააგო, მეორე ყაიმით დაამთავრა. რა თქმა უნდა, ჟუჟა პოლგარი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. იგი, როგორც ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, შვედი პია კრამლინგი და ივდით პოლგარი, ვაჟთა შორისაც საერთაშორისო დიდოსტატია. მაგრამ არც ნანა იოსელიანი არის ნაკლებად მარჯვე, შეუპოვარი და თავდადებული მებრძოლი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს დიდოსტატს მსოფლიო პირველობაზე მატჩების თამაშის დიდი გამოცდილება აქვს, რაც ჟუჟა პოლგარს საერთოდ არ გააჩნია. ვფიქრობ, ნანა შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს ეს უპირატესობა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ჩვენი სურვილი.

ჟ. პოლგარისა და ნ. იოსელიანის ორთაბრძოლა ბევრ მღელვარე დღეებს პირდება გულშემატკივრებს.

ქართველ მოკრივეთა 6 მედალი

რუსეთის მოკრივეთა ღია ჩემპიონატში, რომელიც ნოვოვორონეჟში გაიმართა, რვა ქართველი სპორტსმენი გამოვიდა რინგზე და ექვსმა მათგანმა მედლებით დაიმშვენა მკერდი.

60 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფოთის „შევარდენის“ წარმომადგენლები — პაატა გვასალია და კობა გოგოლაძე. გაიმარჯვა პაატამ. უმძიმეს წონაში „ვერცხლი“ მოიპოვა მათმა თანაქალაქელმა და თანაკლუბელმა ზურაბ სარსანიამ. ტურნირის მესამე პრიზიორები გახდნენ ამავე სპორტსაზოგადოების წევრები — მესტიელი რამაზ ფალიანი (57 კგ), ქუთაისელი თენგიზ მესხაძე (67 კგ) და გორელი მძიმეწონოსანი გიორგი კანდელაკი („მართვე“).

დასახელებული ექვსეული თბილისელებთან ივანე ჭიჭიკაშვილთან (54 კგ. „შევარდენი“), კახაბერ ჩიქვინიძესთან (63,5 კგ. „მართვე“) და ფოთელ ბესიკ მანჯავიძესთან (51 კგ. „შევარდენი“) ერთად 9-15 თებერვალს საქართველოს ღირსებას დაიცავს თეირანის საერთაშორისო ტურნირში.

ამავე ასპარეზობის მსაჯთა კორპუსში შეყვანილია თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ერასტი ერისთავი.

ყველა პრიზიორი თბილისელია

14 წლამდე ასაკის ნორჩ ჩოგბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაზე შეხვედრები მხოლოდ ერთეულთა თანრიგში გაიმართა. ყველა მედალი თბილისელებს გადაეცათ.

ჩოგანი

საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ნატო კაჭკაჭიშვილი და ირაკლი ლაბაძე (ორივე — სპორტკლუბი „რაში“). ამ სპორტსმენებმა ვაჟთა ტურნირის მეორე პრიზიორთან ზაურ ზედანიასთან („მართვე“) ერთად მოიპოვეს უფლება იასპარეზონ ქვეყნის ჩემპიონატში 17 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა შორის.

ვაჟთა შორის მესამე ადგილი დაიკავა გივი მიქელაძემ („მართვე“), ხოლო გოგონათა დავაში ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები წილად ხვდათ სპორტსაზოგადოებების „შევარდენისა“ და „რაშის“ წევრებს — თამრიკო ცხვარაშვილსა და თამრიკო კიკალეიშვილს.

ლელა მესხი 23-ე ადგილზეა

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამოაქვეყნა უძლიერეს ჩოგბურთელთა ახალი ნუსხები.

ქალთა შორის თბილისელი ლელა მესხი 23-ე ადგილზეა. საუკეთესოთა სამეული ასე გამოიყურება: მონიკა სელეში (იუგოსლავია), შტეფი გრაფი (გერმანია) და არანტა სანჩესი (ესპანეთი).

ვაჟთა წამყვანი ტრიო შემდეგი. შემადგენლობით არის წარმოდგენილი: ჯიმ კურიე, პიტ სამპრასი (ორივე — აშშ) და სტეფან ედბერგი (შვედეთი).

პოლიცია მოქმედებს

დაუნდობელი ბრძოლა— კრიმინალურ სამყაროს

კვლავ მძიმე ვითარებაა კრიმინოგენული თვალსაზრისით რესპუბლიკაში. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლახან შექმნილ კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს დემურ მიქაძეს.

— კრიმინალური პოლიცია, — თქვა ბატონმა დემურმა, — აერთიანებს ექვს ოპერატიულ სამსახურს. მთლიანობაში ეს სამმართველოები წარმოადგენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ძირითად ბირთვს, რომელიც იქნება მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილებისა და უკვე მომხდარი დანაშაულის გახსნის საშუალება. თუ დღემდე თითოეული სამსახური თავისი საქმიანობით ცალ-ცალკე ებრძოდა დანაშაულს, ახლა მათი სამოქმედო არეალი მოქცეულია ერთ სტრუქტურაში და ერთიანი გეგმის განხორციელებით.

დღეისათვის რესპუბლიკაში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენული ვითარება მოითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოების რადიკალურ გარდაქმნებს. აუცილებელია, რომ აღსდგეს მოშლილი მმართველობის სისტემა, სრულყოფილ იქნეს სტრუქტურები, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მთელი ძალები და საშუალებები, რომ შეიცვალოს არსებული კრიმინოგენული ვითარება. აუცილებელია, დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის აქცენტი გადავიტანოთ დივერსიული, ბანდიტური, ტერორისტული და სხვა ორგანიზებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფების წინააღმდეგ. ამასთან. პირველ რიგში, საჭიროა უზრუნველვყოთ საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა, ასევე ტვირთის დანიშნულ ადგილზე გადატანა.

ვითარებას ართულებს ისიც, რომ დღეს ყველა სამხედრო ფორმით დადის განურჩევლად იმისა, თუ რომელი დანაყოფის წევრია. ისიც ცხადია, რომ სიტყვით ყველას უნდა წესრიგის დაცვა, საქმით კი დამნაშავეებს ჯერჯერობით მხოლოდ პოლიცია ებრძვის.

უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მთავრობის დახმარებით გამოძებნა საშუალება და რესპუბლიკის გზაჯვარედინებზე წესრიგის დასაცავად გამოჰყო 1200-კაციანი საგზაო პოლიციის ბრიგადა, რომელიც დაკომპლექტდა სისხლის სამძებრო მუშაკებით, ექსპერტებით, გამომძიებლებით. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ დავაკავეთ რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფი, და, რომ დღეისათვის თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით ტრასებზე თითქმის თავისუფლად შეიძლება მგზავრობა: ჯერჯერობით დარჩენილია ერთი მონაკვეთი ბოლნისი-კახეთი-დმანისი, სადაც არის შეფერხებები. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ და დაუნდობელ ბრძოლას გამოვუცხადებთ კრიმინოგენულ სამყაროს.

გულიკო მარკოზაშვილი.

ცხონება

გრიგოლ ხომერიკი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საშენ მასალათა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი გრიგოლ ხომერიკი.

დაიბადა 1910 წელს თბილისში. 1937 წელს დაამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის ფაკულტეტი. სახელოვნად განვლო გზა დარგის რიგითი ინჟინრობიდან მინისტრის თანამდებობამდე. მან თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა მეორე მსოფლიო ომშიც, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორად.

1952-56 წლებში იგი იყო საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე, ხოლო 1956-57 წლებში — მინისტრი. 1959 წლიდან კი საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. იგი არის 60 სამეცნიერო შრომის, 10 გამოგონებისა და 8 საპატენტო ნაშრომის ავტორი. მან შექმნა ახალი ტიპის წისქვილები.

ჩვენს გულში მუდამ იქნება მისი ნათელი ხსოვნა.

„საქსაშენმასალების“ სახელმწიფო გაერთიანება; კ. ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ეთერ ბოცვაძე,
პროფესორი, რესპუბლიკის მთავარი ინფექციონისტი.

ბოლო სამი-ოთხი კვირის მანძილზე გახშირდა მენინგოკოკური ინფექციის, კერძოდ — მენინგიტისა და მენინგოკოკცემიის შემთხვევები, საჭიროა ექიმებსა და მოსახლეობასაც შევახსენოთ, რომ ეს დაავადება იწყება მწვავედ, მიმდინარეობს მძიმედ და სასწრაფოდ საჭიროებს ავადმყოფის ჰოსპიტალიზაციას, რადგან აქ არა დღეები, არამედ საათები წყვეტენ ყველაფერს.

ექიმი გვირჩევს

ფრთხილად, მენინგოკოკური ინფექციის საშიშროებაა!

ჩვენი საუკუნის 70იან წლებში მენინგოკოკური ინფექციის მორიგი ეპიდემიური ტალღა გავრცელდა მთელს მსოფლიოში და აგრეთვე საქართველოშიც. მენინგოკოკური ინფექცია ყველა ასაკში გვხვდება, მაგრამ დაავადებულთა უმრავლესობა მაინც ბავშვებია.

დაავადებას მენინგოკოკი იწვევს. ჯანმრთელ ადამიანს ინფექცია გადაეცემა წვეთოვან-ჰაეროვანი გზით — ავადმყოფთან, ან მენინგოკოკის „ჯანმრთელ“ მატარებელთან კონტაქტისას. ლაპარაკის, ხველის, ცემინების დროს მენინგოკოკის მატარებელი, ან ავადმყოფი ადამიანი უხვად გამოყოფს ამ ბაქტერიებს. ჯანმრთელი ადამიანის ცხვირ-ხახის ლორწოვანში მოხვედრილი მიკრობი უმრავლეს შემთხვევაში უმნიშვნელო ცვლილებებს იწვევს. ადამიანი თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმით განაგრძობს, და ამიტომ განსაკუთრებით საშიშია, როგორც ინფექციის გამავრცელებელი.

ცხვირხახაში, სადაც მიკრობი მოხვდა, შეიძლება განვითარდეს ანთება, ე. წ. ნაზოფარინგიტი. ეს ამ ინფექციის მსუბუქი ფორმაა. იგი ინფიცირებულთა 20-25 პროცენტს ემართება. ნაზოფარინგიტის დროს ავადმყოფს აწუხებს ზომიერი თავის ტკივილი (განსაკუთრებით შუბლისა და საფეთქლების მიდამოში), თავბრუსხვევა, ყლაპვის დროს ტკივილი, ყელში ფხაჭნის შეგრძნება, ცხვირის გასავლების შეშუპების გამო, სუნთქვა უძნელდება. ტემპერატურა მეტწილად 37-38 გრადუსია, ყურადღებას იპყრობს ხახის უკანა კედლის ძლიერი შეშუპება, შეწითლება და მარცვლოვნება. დაავადების ხანგრძლივობა 3-5 დღეა. სამწუხაროდ, მენინგოკოკური ნაზოფარინგიტის სწორ დიაგნოზს ექიმი ხშირად ვერ სვამს, რადგან ნაზოფარინგიტი ძლიერ წააგავს სასუნთქი გზების სხვა ვირუსულ ინფექციებს (გრიპი და სხვ.). დღევანდელი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო ამ მხრივ ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს. საჭიროა ავადმყოფის გამეორებითი ნახვა, რომ გამოირიცხოს მენინგოკოკური ინფექცია და ამავე დროს არ გამოგვეპაროს ამ დაავადების, როგორც ექიმები ამბობენ, გენერალიზაცია, ანუ მძიმე ფორმები.

დაახლოებით 1-3 პროცენტში მენინგოკოკი გადალახავს ცხვირხახის ლორწოვან გარსს, შეიჭრება სისხლში და იწვევს სეფსისს, ანუ მენინგოკოკცემიას, ხოლო თუ ტვინის გარსში და მის ნივთიერებაში შეაღწია მათ ჩირქოვან ანთებას, ანუ მენინგიტს და მენინგოენცეფალიტს. ხშირად მენინგოკოკცემია და მენინგიტი ერთდროულად (ერთიდაიმავე ავადმყოფზე) შეუღლებულად მიმდინარეობს.

მენინგოკოკცემია იწყება მწვავედ და მეტად მძაფრად მიმდინარეობს. ადამიანს შემცივნებს და დასაწყისშივე მისცემს 40-41 გრადუსს სიცხეს. აწუხებს თავის ტკივილი, ღებინება, ქოშინი, გაძლიერებული წყურვილი, ფერმკრთალია, მაჯა აჩქარებული აქვს, უარს ამბობს საჭმელზე, კანი მშრალია, მისი მგრძნობელობა იმდენად არის მომატებული, რომ პატარა ბავშვი ყოველ შეხებაზე ტირის. მენინგოკოკცემიის ძირითადი სადიაგნოზო ნიშანია ჰემორაგიული გამონაყარი. დაავადების დაწყებიდან 5-20 საათის განმავლობაში კანზე ჩნდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის სისხლჩაქცევები. გამონაყარი უხვია, კანიდან ამოწეული, ზოგან წერტილოვანი, ზოგან კი ფართო — 2-15 სმ დიამეტრის სისხლჩაქცევების სახით. ასეთი ავადმყოფის კანს კლინიცისტები ვარსკვლავიან ცას ამსგავსებენ. გაფერმკრთალებულ, მოლურჯო ელფერის კანზე, მუქი, უსწორო ფორმის სისხლჩაქცევები, რომლებიც სწრაფად, ჩვენს თვალწინ წარმოიქმნება, მართლაც „მოციმციმე“, სხვადასხვა ზომის ვარსკვლავების მსგავსია.

მენინგოკოკცემიის ტიპიურ შემთხვევებში სისხლჩაქცევები უფრო ხშირად დუნდულებსა და ქვედა კიდურებზე ჩნდება. თუ მკურნალობა დროულად არ დაიწყო — შემდეგ ვრცელდება მთელს სხეულზე. ჰემორაგიული გამონაყარი არაერთდროულად წარმოიქმნება, რის გამოც ელემენტები სხვადასხვა ფერისაა: ღია წითლიდან მუქ ალუბლისფერამდე. მძიმე შემთხვევებში სისხლჩაქცევები მალევე ნეკროზდება. ნეკროზები ჩნდება უპირატესად თითებზე, ყურის ბიბილოებზე, კანში. გამოჯანმრთელების შემთხვევაში ნეკროზების ადგილას დეფექტები რჩება.

მენინგოკოკცემიის ელვისებრი ფორმის დროს ჰემორაგიული გამონაყარი სახეზე და სხეულის ზედა ნაწილში ვითარდება და წერტილოვანია. ამ დროს უფრო ფართო სისხლჩაქცევები შინაგან ორგანოებში, პირველ რიგში თირკმელზედა ჯირკვლებში ჩნდება. თავიდანვე გამოხატულია ინფექციურ-ტოქსიური შოკის სურათი. სისხლჩაქცევა ვითარდება კონიუნქტივიდან სკლერაზე გარდამავალ ნაოჭზეც, ცრემლი სისხლითაა შეფერილი. ავადმყოფს მოლურჯო ფერი გადაკრავს, წნევა ეცემა. კანზე სისხლჩაქცევები და ნეკროზები ჩვენს თვალწინ მატულობს მის პარალელურად ჩნდება მოლურჯო ფერის, ფართო ლაქები. სიცხე 40 გრადუსიდან ნორმამდე ჩამოდის. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან იგი ხშირად დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის მიზეზი ხდება.

სამწუხაროდ, დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია, განსაკუთრებით გრიპით დაავადების პერიოდში. თავდაპირველად მენინგოკოკური ინფექცია ხშირად გრიპი ჰგონიათ. ასეთ შეცდომას არცთუ იშვიათად სავალალო შედეგი მოსდევს.

როდესაც ავადმყოფს დაავადების დასაწყისშივე აღენიშნება მძიმე მოშხამვის ნიშნები: მაღალი სიცხე, ღებინება, თავის ტკივილი, ციანოზი, არც მშობელმა და არც ექიმმა არ უნდა გამოიყენოს სიცხის დამწევი საშუალებანი: ანალგინი, დიმედროლი. ანალგინის ინექციამ შეიძლება 2 საათით დასწიოს სიცხე. მაგრამ იგი არ იმოქმედებს დაავადების განვითარების მექანიზმზე. განსაკუთრებით საშიშია ღამით, როდესაც ავადმყოფი წამლის მეშვეობით 1-2 საათით წყნარდება. სისხლჩაქცევების გამოვლენა შეუმჩნეველი რჩება, საბოლოოდ გვიანდება ჰოსპიტალიზაცია და სწორი მკურნალობა. 1-2 საათითაც დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია კი, ელვისებრი ფორმების დროს საბედისწერო ხდება. ელვისებრი ფორმების შემთხვევაში ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს დაავადების დაწყებიდან 5-24 საათის განმავლობაში. მენინგიტი — ანუ თავის ტვინის გარსის ანთება უეცრად იწყება. ავადმყოფი (თუ გონზეა) დაავადების დაწყების საათსაც კი მიუთითებს. ძლიერი შემცივნების ფონზე ტემპერატურა 40 გრადუსამდე მატულობს. პირველი წუთებიდანვე გამოხატული თავის ტკივილი სულ მალე აუტანელი ხდება. იწყება ღებინება, რომელსაც შვება არ მოაქვს. ამ სამ ნიშანს — მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი და ღებინება — მენინგიტური ტრიადა ეწოდება. დამახასიათებელია აგრეთვე კუნთების ტკივილი, უძილობა, ბოდვები, მოჩვენებები. ავადმყოფი სახეზე წამოწითლებულია, აღგზნებულია, აღიზიანებს ხმაური, ხელის შეხება, სინათლე. ვლინდება დამახასიათებელი მენინგეალური პოზა: ავადმყოფი წევს გვერდზე უკან გადაწეული თავით, მუხლისა და ბარძაყის სახსრებში მოხრილი ფეხებით. უჭირს თავის მოხრა, ძლიერი ტკივილის გამო ფეხების გასწორებასაც ვერ ახერხებს, არც ჯდომა შეუძლია. ჩვილ ბავშვებს ეწყებათ უეცარი, უმიზეზო ტირილი წამოკივლებით. დაკვირვებული დედა თავის ქალის რბილი ადგილის ამობურცვასა და დაჭიმულობას შეამჩნევს. პატარები ხშირად კრთებიან, უკანკალებთ ხელები, უვითარდებათ კრუნჩხვა. მძიმე შემთხვევებში დაავადების პირველსავე საათებში, უფრო ხშირად კი მეორე დღეს, ავადმყოფი, ტვინის შეშუპების განვითარების გამო, გონებას კარგავს. ზოგჯერ ანთებადი პროცესი ტვინის გარსებიდან თვით ტვინის ნივთიერებაზე ვრცელდება და ვითარდება თავის ტვინისა და მისი გარსების ანთება — ე. წ. მენინგოენცეფალიტი. ამ დროს ავადმყოფი გონებას კარგავს, უვითარდება კრუნჩხვები, დამბლა.

მენინგოკოკური ინფექცია უმძიმესი დაავადებაა, დაგვიანებული დიაგნოსტიკისა და არასწორი მკურნალობის პირობებში 80-პროცენტი სიკვდილით მთავრდება. რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს ნეიროინფექციების განყოფილებაში (რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში), დამუშავებულია მკურნალობის ისეთი კომპლექსური მეთოდი, რომელიც საავადმყოფოში დროულად მოყვანილ ავადმყოფს აბსოლუტურად გამოაჯანმრთელებს. წამლების დოზირება და შენაცვლება ხდება დინამიკაში კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლების ცვლილებების მიხედვით. გონებადაკარგულს რამდენიმე საათში ცნობიერება უბრუნდება, იწყება დაავადების სწრაფი უკუგანვითარება და ერთ კვირაში მკურნალობა მთავრდება. არ გვხვდება ნარჩენი მოვლენები (სიყრუე, გონებრივი ჩამორჩენა, პარეზი), როგორც ეს ძველად იყო.

უნდა გვახსოვდეს: მენინგიტისა და მენინგოკოკცემიის საბედისწერო გართულებები (შოკი, ტვინის შეშუპება, ეპილეფსია, გონებრივი ჩამორჩენა და სხვა.) ჰოსპიტალიზაციის დაგვიანების შედეგია. დაავადების პირველ საათებშივე გამოიძახეთ ექიმი და ავადმყოფი დაუყოვნებლივ, ექიმის პირველი წინადადებისთანავე გადაიყვანეთ საავადმყოფოში. თუ კანზე სისხლჩაქცევები შენიშნეთ, ექიმი კი იგვიანებს, ნუ დაელოდებით მას, ავადმყოფი თქვენვე გადაიყვანეთ ინფექციურ საავადმყოფოში.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა საქინფორმის კორესპონდენცია „მტკიცდება პარტნიორობა“, რომელშიც დაშვებულია უზუსტობანი. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო საგარეო-ეკონომიკური გაერთიანება „საქაგროიმპექსის“ წერილი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია: **„სს „საქაგროიმპექსს“ არ მოუწერია ხელი ხელშეკრულებაზე თურქეთის ფირმასთან აბრეშუმის ჭიის გრენის მიწოდებაზე; გაუგებარია აგრეთვე მასალაში მოყვანილი ცნობა ერთი მილიონი დოლარის მოგების შესახებ; ჩვენთვის ცნობილი არ არის ყოფილი კავშირის რესპუბლიკებში გრენის გაყიდვის ფაქტი.**

„საქაგროიმპექსმა“ თურქეთის ფირმა „კრისტალ ლტდ“-სთან გააფორმა კონტრაქტი 850 ტონა აბრეშუმის პარკის ექსპორტის შესახებ“.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა ქალაქ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თხოვნა, და მას ამიერიდან ეწოდება თბილისის სამედიცინო აკადემია.

ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა საქართველოსათვის!

საქართველოს მწვანეები და გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „APOLLO“ იწყებენ ერთობლივი პროექტის განხორციელებას, რომლის მიზანია საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის (ბიოლოგიური მეურნეობის) განვითარება. პროექტი ითვალისწინებს ქართველი სპეციალისტების მომზადებას ქვეყნებში, სადაც დაგროვებულია შესაბამისი გამოცდილება, ბიოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, ცალკეული ბიოლოგიური მეურნეობების ჩამოყალიბებისა და მუშაობის ორგანიზაციულ და საკონსულტაციო ხელშეწყობას, ბიოლოგიური მეურნეობის კავკასიური ცენტრის შექმნას.

პროექტის პირველ ეტაპზე გერმანიაში გაიგზავნებიან ქართველი ახალგაზრდები ოჯახურ მრავალდარგოვან მეურნეობებში სამუშაო პრაქტიკის გასავლელად. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწვანეები და ორგანიზაცია „APOLLO“ აცხადებენ

შესარჩევ კონკურსს

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, რომელთაც აქვთ პრაქტიკული კავშირი სოფლის მეურნეობასთან და სურთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება.

უპირატესობა მიეცემათ მონაწილეებს, რომლებიც მეტნაკლებად ფლობენ გერმანულ ენას, აქვთ მიწაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, და წარმოადგენენ რეკომენდაციას მწვანეთა ადგილობრივი ორგანიზაციიდან.

გერმანული ენის არმცოდნეთათვის მოეწყობა ენის სამთვიანი კურსები.

კონკურსის თითოეული მონაწილე იღებს ვალდებულებას, რომ თავის მიწის ნაკვეთზე ის დანერგავს ბიოლოგიურ მეთოდს.

განცხადებები კონკურსში მონაწილეობის შესახებ მიიღება 15 თებერვლამდე. კონკურსი მოეწყობა 20-25 თებერვალს, რის შესახებაც მონაწილეებს, რომელთა საბუთებიც იქნება მიღებული, ეცნობება ცალკე.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380012, დავით აღმაშენებლის გამზ. 182, (მუშტაიდის ბაღის მწვანე სახლი), ტელ.: 34-80-68, 35-47-51. 95-20-38.

კოორდინატორები: საქართველოს მწვანეების მხრიდან — ნანა ნემსაძე საქველმოქმედო ორგანიზაცია „APOLLO“-ს მხრიდან — ჰანა კეგელი.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს ამავე სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსს შოთა კიკალიშვილს დედის

ოლღა ლევანის ასულ თოდუა-კიკალიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, კავშირგაბმულობის ბაღდათის რაიონული კვანძის ყოფილი უფროსი

დუშიკო ვასილის ძე ბუხულეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 89.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА